ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 12 მარტი, 2013 №59 (6060) ფასი: 30 თეთრი

12 მარტიდან!
„ახალი თაობა“ +
საოჯახო ტომი 7
სამზარეულო
2 ლარი და 30 თეთრი




# „მეუფე იობის წინააღმდეგ ტერაქტი ციხეში დაიგეგმა“ გვ.2



## ვანო მერაბიშვილი: „19 აპრილს ყველას ვაჩვენებთ ჩვენს ძალას“ გვ.5

ზურაბ ადეიშვილი ამ აქციას ვერ დაესწრება



## მამუკა კაციტაძე: „არჩევნები ოლიმპიადა არ არის“ გვ.7

## ნოდარ ნათაძე: „რუსები პუტინს ჩამოახრჩობენ“ გვ.7

## დავით კუპრეიშვილი: „მთავარ პროკურატურაში 20 ათასი საჩივარია შესული“ გვ.6





## „გენერალთა კლუბი“ ნუგზარ წიკლაურს რჩევას აძლევს გვ.5

რას ერჩის დეპუტატი ყოფილ თავდაცვის მინისტრებს

# ვინ მიხედავს ბანკის მევალეებს გვ.7



## პარლამენტის შუალედური არჩევნები 2013 წლის 27 აპრილს დაინიშნა გვ.3

## რა წერია ვენეციის კომისიაში გვ.3



## სკანდალი სადაზღვევო კომპანიების ირგვლივ გვ.4

ჯონი ჯანაშია: „საქართველოში დღემდე მოქმედებს ბენდუქიძის მიერ ჩამოყალიბებული და შექმნილი კაბალური კანონი“



9 771987 938006

2 კახა კუკავა: „ივანიშვილმა სააკაშვილი დაჯაბნა“

3 მტკვარში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

6 გამოკითხულთა უმრავლესობა მიხეილ სააკაშვილის განცხადების სისწორეს არ ეთანხმება

3 ქრისტიან-დემოკრატებმა კახა ბროკიშვილი პარტიიდან გარიცხეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „მეუფე იობის წინააღმდეგ ტერაქტი ციხეში დაიგეგმა“

შორენა კოწოწაშვილი

ბაჩანა ახალაიას, მეგის ქარდავას და ნაციონალ დეპუტატ დავით საყვარელიძეს შესაძლოა ბრალი დაიმძიმდეთ. ამის მიზეზი კი ყოფილ პატიმარ გოდერძი ჯოლოხავას მიერ შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის და იუსტიციის მინისტრის სახელზე შეტანილი საჩივარია, სადაც სხვა იმძიმეს ფაქტებზე საუბართა ერთად, გლდანის საპყრობილის ყოფილი პატიმარი მეუფე იობის მკვლელობის დაგეგმვაზეც საუბრობს.

აღსანიშნავია, რომ ჯოლოხავა დღეს ციხეში განხორციელებული უმძიმესი ფაქტების და იმ დანაშაულების შესახებ საუბრობს, რომელშიც სააკაშვილის მაღალჩინოსნების ბაჩო ახალაიას, მეგის ქარადავას და ახლა უკვე საპარლამენტო უმცირესობის წევრის დავით საყვარელიძის დანაშაულობები იკვეთება.

რომელ პატიმარს „ავერბოვკებდნენ“ ბაჩო ახალაია და ყოფილი პროკურორი დავით საყვარელიძე და სად დაიგეგმა მეუფე იობის წინააღმდეგ ტერაქტი? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ ჯუმბერ მილორავასთან.

***—ბატონო ჯუმბერ, ფაქტია, მთავარ პროკურატურაში სულ უფრო მეტი საჩივარი შედის წინა ხელისუფლების პირობებში ჩადენილ მძიმე დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც არაერთი მაღალჩინოსნის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოკვეთს. როგორც ადვოკატს, რამდენად მძიმე ფაქტების თაობაზე გაქვთ ინფორმაციები და ვისი პასუხისმგებლობა გამოიკვეთა თქვენამდე მოსული ჩვენებების საფუძველზე?***

— მართლაც, ძალიან მძიმე ფაქტები ხდება თანდათან ცნობილი. ამ შემთხვევაში ვიცავ გოდერძი ჯოლოხავას ინტერესებს, რომელიც ამნისტიის კანონის საფუძველზე იქნა გათავისუფლებული სასჯელის მოხდის ადგილიდან. ეს პირი, როგორც კი ციხიდან გაათავისუფლეს, სასწრაფოდ მოვიდა ჩვენთან და მედია-კავშირ „ობიექტივში“ გაამხილა, რა ფაქტებს ჰქონდა ადგილი მისი სასჯელის მოხდის პერიოდში. თავიდანვე იცოდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნებოდა, თუმცა მაინც ისაუბრა ღიად იმ გაუსაძილს პრობებზე და იმ მძიმე ფაქტებზე, რომლებიც იმ პერიოდში არსებობდა გლდანის მერვე დაწესებულებაში. ჯოლოხავამ ჩვენთან ისაუბრა, როგორ ახორციელებდა პირადად ბაჩანა ახალაია, მეგის ქარდავა, ოლეგ ფაცაცია და თუნდაც ყოფილი პრკურორი დავით საყვარელიძე, რომელიც დღეს საპარლამენტო უმცირსობის წევრია, მასზე ზეწოლას. მან ისაუბრა, რა დანაშაულებს ჰქონდა ადგილი და რა დამოკიდებულება ჰქონდათ ამ პატიმართან, რას ავალებდნენ და რას ითხოვდნენ მისგან. ფაქტობრივად, ეს არის ერთი დიდი საქმე. ამ ადამიანის საუბრიდან ირკვევა, თუ როგორ ხდებოდა კონკრეტული დანაშაულობები, რომლებიც მთელ რიგ შეთხვევაში მიჩქმალული იყო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ნელ-ნელა კი ასეთი დანაშაულები სააშკარაოზე გამოდის.



***— ანუ მთავარი პროკურატურისთვის ცნობილია ახალი ფაქტები, სადაც ბაჩანა ახალაიას და დეპუტატ დავით საყვარელიძის პასუხისმგებლობაც იკვეთება?***

— დიახ. ჯოლოხავა ლაპარაკობს, რომ ის არაერთ ფაქტთან დაკავშირებით სჭირდებოდათ, მისი გამოყენება. მათ შორის იგივე „ყინწვისის საქმესთან“ დაკავშირებით უნდოდათ გამოეყენებინათ კონკრეტული ადამიანის წინააღმდეგ. ის ყვება, რომ მას ბაჩო ახალაიამ დაავალა, რომ შესულიყო ჯემალ გუნდიშვილითან — ერთ-ერთ პიროვნებასთან, რომელიც „ყინწვისის საქმეში“ ფიგურირებს და მასზე მოეხდიან ფიზიკური და ფსიქიკურ ზემოქმედება, რათა სასურველი ჩვენება მიეღო, თუნდაც რომ მოეკლა, პრობლემა არ იყო. მას ამისთვის კონკრეტული საგანიც კი მისცეს — დანა, რომელიც შეეძლო გამოეყენებინა. პოლიტიკური თანამდებობის პირი პატიმარს იარაღს რომ მისცემს და ასეთ დავალებას, თან უბიძგებს დანაშაულის ჩადენისკენ, ბუნებრივია ეს მის პასუხისმგებლობას გამოკვეთს.

***— რას ამბობს ყოფილი პატიმარი, რისთვის სჭირდებოდათ ეს?***

— როგორც იცით, წინა ხელისუფლებას უნდოდა აღიარებითი ჩვენებები მიეღო ისეთ საქმეებზე, რომლებიც თეთრი ძაფით იყო შეკერილი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გუნდიშვილისგან, რომელიც აღიარებით ჩვენებას მისცემდა და ნათელს მოფენდა იმას, რაც წინა ხელისუფლების ინტერესებში იყო, თითქოს ყინწვისში სამხედრო გადატრიალება მზადდებოდა. ეს კი კეთდებოდა რის ფასად? — სიკვდილ-სიცოცხლის ფასად.

***— რა კატეგორიის პატიმარი იყო ჯოლოხავა, ე.წ. „ნასედკა“?***

— ჯოლოხავა სჭირდებოდათ პატიმრებზე ზემოქმედების მიზნით. ის ჩვეულებრივი პატიმარი იყო და არა „ნასედკა“. რისთვის იხდიდა სასჯელს, ახლა მის ბრალეულობაზე არ ვსაუბრობთ. ის იყო ჩვეულებრივი პატიმარი, ოღონდ მეგრელი. ბაჩო ახალაიაც, როგორც მეგრელი, მეგრელთან მივიდა და უნდოდა გამოეყენებინა იმ შავ-ბნელი მიზნებისთვის, რაშიც ადრეც იყენებდნენ სხვა პატიმრებს. ამ ადამიანმა, ჯოლოხავამ, ეს ყველაფერი ჩვენ გაგვიმხილა. ამიტომ მივმართეთ მთავარ პროკურორს, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს და ირაკლი ღარიბაშვილს. სამივე უწყებაში შევიტანეთ განცხადება, დისკები, ჩანაწერები, სადაც ყოფილი პატიმარი ყვება, თუ რა ვითარება იყო იმ პერიოდში ციხეებში და კონკრეტულად, ვინ იყვნენ დამნაშავე პირები პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან და მღალჩინოსნების მხრიდან.

***— ანუ იმაზე მძიმე ფაქტებიც იკვეთება ყოფილი პატიმრების ჩვენებებში, ვიდრე გავრცელებულ „ციხის კადრებში“ ვიხილეთ?***

— რა თქმა უნდა. ახლა ერთი კონკრეტული ფაქტი მინდა მოვიყვანო. იგივე ჯოლოხავა საუბრობს ისეთ თემაზე, რომელიც მეუფე იობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ფაქტობრივად, მეუფეს წინააღმდეგ ტერაქტი მზადდებოდა. ეს კონკრეტული პიროვნება — ჯოლოხავა ყვება, ზუსტად როგორ უნდა მომხდარიყო ეს. მაშინ ეს ადამიანი მეუფე იობს არც იცნობდა. როცა ჩვენთან მოვიდა, მან თქვა, მე შევესწარი საუბარს, როგორ უნდა მომხდარიყო ტერაქტი მეუფე იობის წინააღმდეგ, რაც სინამდვილეშიც მოხდა.

***— რაზე საუბრობთ. მეუფე იობის წინააღმდეგ ტერაქტი ციხეში დაიგეგმა?***

— კი. როგორც იცით, მეუფე იობის ავტომანქანას სამუხრუჭე მილი გადაუჭრა ვიღაც პიროვნებამ. ეს ფაქტი გახმაურდა კიდეც. ყველაფერი ისე მოხდა სინამდვილეში, როგირც ეს პატიმარი ყვება. ამის დადასტურება ძნელი არ იქნება. შესაბამისი მოკვლევის ორგანოები ვალდებული არიან, რომ ამ ჩვენების საფუძველზე ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ და გამოიკვლიონ.

***— ჯოლოხავას გამოყენება ბაჩო ახალაიას ხომ არ უნდოდა მეუფე იობის წინააღმდეგ?***

— ყველაფერის მიმართ სჭირდებოდათ. ესენი აგროვებდნენ ყველანაირ სამხილს, კანონით დაუშვებელ ზემოქმედებას ახდენდნენ ნებისმიერ პირზე და ცდილობდნენ მოეპოვებინათ ისეთი მტკიცებულებები, რომლებსაც საქმეს დაურთავდნენ და საქმეს გაამყარებდნენ. ასე ღებულობდნენ აღიარებით ჩვენებებს ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული პირები. ბაჩო ახალაია ამგვარ ქმედებებს რომ სჩადიოდა, ამას ადასტურებს სხვა პიროვნებაც, რომელიც ნაცმოძრაობის დეპუტატ დავით საყვარელიძეს კონკრეტულ ბრალს დებს. ვნახეთ, რომ ბევრ კითხვას დეპუტატი საყვარელიძე პასუხს არ სცემს, არაფრად არ აგდებს ის არც საზოგადოებას, არც კანონს. საყვარელიძე, რომელიც თავად იყო წარმოდგენილი წინა ხელისუფლების დროს პროკურორის რანგში, დღეს თვითონ არღვევს იმ წესს და კანონის მიმართ ვალდებულებებს, რომელსაც უნდა იცავდეს.

***— ჯოლოხავას მიერ წულუკიანის და კბილაშვილის სახელზე შესული საჩივრები არის იმ დონეზე კონკრეტული და მნიშვნელოვან ფაქტებზე აგებული, რომ ბრალს დაუმძიმებს ბაჩო ახალაიას და დავით საყვარელიძეს?***

— რა თქმა უნდა. ეს არის ახალი გარემოებები, რომელიც მანამდე უცნობი იყო პროკურატურისთვის. ეს საქმე ძალიან მძიმე ფაქტებით არის გაჯერებული. ახლა კონკრეტულ ფაქტებზე საუბრისგან თავს შევიკავებ. ზოგადად გეტყვით, რაც ხდებოდა და რაზეც ჯოლოხავა წერს თავის საჩივარზე, რასაც მისი პატიმრობის პერიოდში ჰქონდა ადგილი. ეს ადამიანი ასახელებს ბაჩო ახალაიას, მეგის ქარდავას, დავით საყვარელიძეს, ოლეგ ფაცაციას. ის ამბობს, რომ სწორედ ეს ადამიანები ახდენდნენ მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რათა შემდგომ მას მოეხდინა ზეწოლა იმ დაინტერესებულ პატიმრებზე, რომლებიც აინტერესებდათ, როგორც კონკრეტულ საქმეზე სასურველი მოწმეები. იკვეთება ის, რომ დაინტერესება იყო იმ კუთხითაც, რომ პოლიტიკური ფიგურები მოეშორებინათ სასამართლოს გზით.

***— ჯოლოხავას დაკითხვა თუ მოხდა პროკურატურაში?***

— ის ჯერ არ დაუკითხავთ. ჩვენ დაბარებული ვართ მოწმის სახით. ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი ის დისკები, რომელზეც ჯოლოხავას საუბარია ჩაწერილი „ობიექტივში“. როდესაც ამ დისკზე ექსპერტიზა იქნება ჩატარებული, ჩვენ მოგვიწევს მათი წარდგენა პროკურატურაში და მოწმის სახით დაიკითხება ჯოლოხავა.

# კახა კუკავა: „ივანიშვილმა სააკაშვილი დაჯაბნა“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ პარტია თავისუფალი საქართველოს ლიდერ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, როგორც უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, ის თქვენთან კონსულტაციების გამართვას გეგმავს. თქვენ თუ აპირებთ მასთან თანამშრომლობას?***

— თანამშრომლობით ჩვენ ვთანამშრომლობთ ყველა ორგანიზაციასთან, ვისაც ამის სურვილი აქვს და ბუნებრივია, რომ მასთან თანამშრომლობასაც არ გამოვრიცხავ. მაგრამ უბრალოდ დარჩა შთაბეჭდილება საზოგადოებას, რომ ჩვენ რაღაცა ერთ ორგანიზაციას ვქმნით და მინდა ეს განვმარტო, რომ არანაირი ორგანიზაციის შექმნა ჩვენ მიერ ერთობლივად არ იგეგმება. პარტია თავისუფალი საქართველო არ მიეკუთვნება პრორუსულ პარტიებს, როგორც ბატონი ვალერი ხაბურძანია აღიქვამს ასე თავის სამომავლო პოლიტიკურ ორგანიზაციას. ჩვენ გვაქვს განსხვავებული პლატფორმა, თუმცა თანამშრომლობა განსხვავებული პლატფორმის მქონე ძალებს შორისაც მისაღებია, თუ რა თქმა უნდა ეს ორგანიზაცია, რომელზეც ის საუბრობს, მართლაც შეიქმნა. ჯერჯერობით, როგორც მე ვიცი, ეს არ არის გადაწყვეტილი და ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოლიტიკური პარტიის სახით ჩამოყალიბდეს.

***— თუ გქონდათ შეხვედრა და საუბარი?***

— შეხვედრით ჩვენ არაერთხელ შევხვედრივართ, ახლა ამ ჩამოსვლაზე, ამ ვიზიტის ფარგლებში არ შევხვედრივარ, მაგრამ ზოგადად შეხვედრით არაერთხელ შევხვედრივარ თბილისშიც და მოსკოვშიც.

***— თქვენ რატომ გეპარებათ ეჭვი, რომ ვალერი ხაბურძანიამ პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბოს?***

— პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა საკმაოდ რთული პროცესია, ძალიან ბევრი კომპონენტისგან შედგება და პირველ რიგში ადამიანური რესურსებისგან, გუნდისგან. მე მართალი რომ გითხრათ, არ ვიცი დრიეს მდგომარეობით ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს მის სამომავლო პარტიაში. შექმნაში ეჭვი კი არ მეპარება, უბრალოდ ჯერ არ ვიცი, როცა ვნახავთ, რა გუნდია, რა ორგანიზაციაა, მერე შევძლებთ, რომ ვისაუბროთ.

***— რამდენად მომგებიანია დღეს, როდესაც პოლიტიკოსი გამოდის და აცხადებს, რომ ის პრორუსული პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას აპირებს?***

— მომგებიანობის კუთხით მე ამას არ ვუყურებ. მე მგონია, რომ ზოგადად არასწორია საუბარი იმაზე, რომ ქვეყანაში უნდა არსებობდეს პარტია, რომელსაც რომელიღაცა პრომიმართულება ექნება. ეს მიუღებელია. შუა საუკუნეებში საქართველო იყო პროთურქულ და პროირანულ ბანაკებს შორის გაყოფილი და სულაც არ მინდა, რომ ჩვენ იმ პერიოდში დავბრუნდეთ და პრორუსულ და პროამერიკულ პარტიებად ვიყოთ დაყოფილი. ეს ნამდვილად კოლონიური მენტალიტეტია და არ შეეფერება დამოუკიდებელი ქვეყნის თავისებურებებს.

***— მოვისმინე ასეთი შეფასებებიც, რომ ეს ყველაფერი ვიღაცის პროექტია და არა ხაბურძანიას იდეა... თქვენ რამდენად დაიჯერებდით ამას?***

— არა, გამოვრიცხავ ამას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მისი იდეებია. სხვათა შორის, რაც მის ინტერვიუში იყო, აშკარად თვალში საცემია ის, რომ ის ძალიან ღიად და გულწრფელად საუბრობდა. პოლიტიკოსები ასე ღიად არ საუბრობენ ხოლმე, თუნდაც წარსული მოვლენების შესახებ. ამიტომ რაც მან ისაუბრა, ზუსტად ასეა. დღეის მდგომარეობით ის არის ერთი ადამიანი, რომელსაც ეს იდეა აქვს და არავინ მის უკან არ დგას. იგი საკმაოდ დადებითი პიროვნებაა, უბრალოდ ჩვენი პოლიტიკური ხედვები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან.

***— ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს რაც შეეხება, თუნდაც ვენეციის კომისიის დასკვნის შეფასებით რომ დავიწყოთ...***

— ვენეციის კომისიამ გამოიტანა შუალედური აქტი. ნაწილში ის დაეთანხმა უმრავლესობას, ნაწილში — უმცირესობას. მე ვფიქრობ, რომ სასამართლო რეფორმა საქართველოში



არის აუცილებელი, თუმცა არასწორი მიმართულებით მიმდინარეობს რეფორმა. ის კი არ არის შესაცვლელი, რომ ნაციონალური მოძრაობის მაგივრად ქართული ოცნების კონტროლი დაწესდეს. აუცილებელია, რომ საერთოდ პოლიტიკური კონტროლი არ იყოს. ახლა რასაც აკეთებს იუსტიციის სამინისტრო, ეს არსებითად ნიშნავს იმას, რომ ერთი პარტიის კონტროლი, მეორე პარტიის კონტროლით შეიცვალოს.

***— ნაციონალებმა დაიწუნეს, მათთვის საწინააღმდეგოდ ჩათვალეს ვენეციის კომისიის დასკვნა...***

— მათ საწინააღმდეგოდ გამოდის ეს, იმიტომ, რომ ამ კანონპროექტს შეიძლება ეწოდოს — ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური კონტროლის, ქართული ოცნების პოლიტიკური კონტროლით შეცვლით შესახებ. ნაციონალური მოძრაობის კონტროლიდან რომ გამოდის სასამართლო, ეს, რა თქმა უნდა, დადებითია, მაგრამ ქართული ოცნების კონტროლში რომ შედის, ეს უარყოფითია. სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ეს არის აქსიომა.

***— ქართული ოცნება აცხადებს, რომ სასამართლო დამოუკიდებელი იქნებაო...***

— ძალიან აშკარა არის, უკვე იუსტიციის საბჭოს საკადრო სია აქვს ჩამოწერილი იუსტიციის სამინისტროს. აქედან გამომდინარე, ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს.

***— სამართლიანობის აღდგენის კუთხით გააქტიურდება სიტუაცია თუ რა პროცესებს უნდა ველოდოთ?***

— საერთოდ რაც ხდება ახლა დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში, ეს ყველაფერი ერთგვარად ვირტუალურია. რეალურად კულუარებში მიმდინარეობს თამაში სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის. ჩერჩილს ეკუთვნის ასეთი ფრაზა, საბჭოთა კავში-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვეიშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რა წერია ვენეციის კომისიაში

ნათია ხურცილავა

ვენეციის კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, კოტე კუბლაშვილმა. გუშინ გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ვენეციის კომისიის დასკვნას მიესალმა.

— მივესალმები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე პროცესში ვენეციის კომისიის ჩართულობას. მისასალმებელია ის გარემოება, რომ ვენეციის კომისიამ გაითვალისწინა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა შენიშვნები და თავის დასკვნაში მიუთითა, რომ „სასამართლო ხელისუფლების მომავალი ფუნქციონირებისა და ორგანიზაციული საკითხების შემუშავების დროს საკანონმდებლო უფლებამოსილების გამოყენებისას პარლამენტმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ზომების მიღებისგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის უწყვეტობას“. ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესის ამოქმედება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძველი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას. ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, ამ ცვლილების ამოქმედება ახალი მთავრობის ან საპარლამენტო უმრავლესობის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მისთვის არასასურველი შემადგენლობის საკანონმდებლო ცვლილებების გზით შეცვლის გაუმართლებელ და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხელმყოფ პრეცედენტს შექმნიდა. ვენეციის კომისიის რეკომენდაციით: სასამართლოების თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის პირველ მოადგილეებს, მოადგილეებს, პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეებსს და ყველა იმ პირებს, რომლებსაც აღნიშნული პოზიციები ეკავათ საბჭოს არჩევნებამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, იყვნენ საბჭოს წევრობის კანდიდატები: შესაძლებელია, კანონმა დააწესოს შეზღუდვები საბჭოს შემადგენლობაში მყოფი თავმჯდომარეების რაოდენობასთან მიმართებაში. ასევე, შესაძლებელია, კანონმა დააწესოს მოთხოვნა, რომ სასამართლოს თავმჯდომარის საბჭოში არჩევის შემთხვევაში, მას მოუხდეს თავმჯდომარის თანამდებობის დატოვება, ამოღებულ იქნეს მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ახალი კანონის ამოქმედებისთანავე, „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძველ შემადგენლობას, გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, შეუწყდება უფლებამოსილება“. ვენეციის კომისიის რეკომენდაციით მომავალში შესაძლებელია განხილულ იქნეს სხვა გარდამავალი დებულების მიღება, რომელიც არსებული საბჭოს შემადგენლობას დააახლოებს მისი მომავალში დაკომპლექტების მეთოდთან. მაგალითად, იმის მითითებით, რომ სასამართლოს მოქმედი თავმჯდომარეები უნდა გადადგნენ თავმჯდომარეობიდან იმისათვის, რომ შეინარჩუნონ საბჭოს წევრობა. შესაძლოა, ასევე გადაიხედოს ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ მოსამართლეთა კონფერენციის ნაცვლად მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა. — განაცხადა კოტე კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, „ვენეციის კომისიის დასკვნის საფუძველზე, იუსტიციის საბჭოს მხოლოდ ერთი წევრის გადარჩევა მოხდება“.

— არჩევნის წინაშე დადგებიან მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარეები და ასევე ის წევრები, რომლებიც ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ არიან დანიშნულები, მაგრამ მინდა, გითხრათ, რომ 8 წევრიდან ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ დანიშნულია მხოლოდ 3 ადამიანი, 5 — კი ჩვეულებრივად კონფერენციის მიერ. იმ სამიდან თავმჯდომარე მხოლოდ ორია. გამოდის, რომ მხოლოდ ერთი, ჩვენი წევრი მოსამართლის გადარჩევა მოხდება, მაგრამ ეს პრობლემა არ იქნება, ვინაიდან მოსამართლეთა კონფერენცია მოწინააღმდეგე კანდიდატის გარეშე დავაყენებთ ჩვენ ამ აღსადგენი წევრის კანდიდატურას, გადაირჩევენ და მას ფაქტობრივად, ხელახლა დანიშნავენ მას. — განაცხადა კოტე კუბლაშვილმა.

საწინააღმდეგო პოზიცია აქვს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ძალიან მალე ქვეყანას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აბსოლუტურად ახალი შემადგენლობა ეყოლება.

თეა წულუკიანის თქმით, კანონის ამოქმედებიდან ორ კვირაში მოსამართლეთა კონფერენცია ახალ არჩევნებს ჩაატარებს.

— ვენეციის კომისიამ ძალიან მნიშვნელოვანი რამ თქვა, კანონპროექტი, რომლის ინიციატორიც იუსტიციის სამინისტროა, არის დადებითი. ეს ის რეფორმაა, რომელიც ჩვენს მართლმსაჯულებას ევროპულ სტანდარტებთან აახლოებს, ეს იყო უმთავრესი და ამიტომ მთავრობა კმაყოფილია. რაც შეეხება უმაღლეს საბჭოს, მისი შემადგენლობის ცვლილება აუცილებლად მოხდება, ამას ვენეციის კომისიაც ეთანხმება, რომც არ ეთანხმებოდეს, უმაღლესი საბჭო ცვლილებას საჭიროებს. ვენეციის კომისია ეთანხმება იმას, რომ საბჭოში აღარ უნდა იყვნენ დეპუტატები, ასევე პრეზიდენტმა წევრები აღარ უნდა დანიშნოს. გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს რვა წევრი მოსამართლიდან მინიმუმ ექვსი თავმჯდომარეა, ჩვენ გვინდა, რომ მოსამართლეთა კონფერენციამ ისინი დემოკრატიული გზით აირჩიოს, საუბარია იმაზე, რომ კენჭისყრა იქნება ფარული. ასევე, კოტე კუბლაშვილს, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კანდიდატების დასახელების ექსკლუზიური უფლება აღარ ექნება. ისღა დაგვრჩენია, რომ მომავალი კვირიდან კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვა დავიწყოთ. — განაცხადა წულუკიანმა.



იუსტიციის მინისტრის განცხადებით, იუსტიციის საბჭო სულ 15 წევრისგან შედგება, აქედან ორი წევრი პრეზიდენტის კვოტით დანიშნული აღარ იქნება, ასევე აღარ იქნებიან საბჭოში დეპუტატები და რვა წევრი მოსამართლე ველარ იქნება საბჭოს წევრი, თუ ის ადმინისტარციული კომიტეტის მიერ არჩეულია, ან სასამართლოს თავმჯდომარეა.

წულუკიანის განცხადებით, კანონის ამოქმედებიდან ორკვირიანი ვადა ექნება კონფერენციას, რომ არჩევნები ჩაატაროს.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, რომლებმაც გუშინ პრესკონფერენცია ჩაატარეს და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს, ვენეციის კომისიამ საბოლოო ჯამში არც მმართველი გუნდის და არც ოპოზიციის წინადადებები არ გაითვალისწინა. მათი განცხადებით, ვენეციის კომისიამ არასამთავრობო სექტორის წინადადებებს უფრო დაუახლოვა მისი პოზიცია.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარის, კახა კოჟორიძის განცხადებით, ვენეციის კომისიის დასკვნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა, არ ეხება.

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ცვლილება არ შეეხება, გარდა იმისა, რომ მას არ ექნება ექსკლუზიური უფლება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი დაასახელოს, სხვა შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე რჩება. — განაცხადა კახა კოჟორიძემ.

კოჟორიძის განცხადებით, კომისიის მიერ მიღებული დასკვნა მნიშვნელოვანია იმით, რომ გაიზრდება ინდივიდუალური მოსამართლის როლი, ასევე ჟურნალისტებს ექნებათ საშუალება პროცესების გადაღების, ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება იუსტიციის საბჭოს დეპოლიტიზაციის მიმართულებით და გაიზრდება მოსამართლეთა თვითმმართველობის როლი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ თავმჯდომარის ეკა გიგაურის განცხადებით, საბოლოო ჯამში, ვენეციის კომისიამ სრულად არც საპარლამენტო ოპოზიციის და არც მმართველი გუნდის პოზიცია გაითვალისწინა.

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვენეციის კომისიის დასკვნა ყველაზე ახლოს არის არასამთავრობოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებთან. საბოლოო დასკვნა ჯერ არ გვინახავს, თუმცა პროექტი, რომელსაც ჩვენ გავეცანით, დასკვნასთან ყველაზე ახლოა. პირდაპირ რომ ვთქვათ, სრულად არც მმართველი გუნდის პოზიცია გაითვალისწინეს და არც საპარლამენტო ოპოზიციის. ეს სავარაუდოდ, იქნება შუალედური ვარიანტი. ახლა მნიშვნელოვანია, მხარეები შეთანხმდნენ და ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ რეფორმამ უმტკივნეულოდ ჩაიაროს. კომისია ამბობს, რომ რეფორმა, რომელიც დაგეგმილია, პოზიტიურია და მართლმსაჯულების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. — განაცხადა ეკა გიგაურმა.

არასამთავრობო ორგანიზაციები — „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ საზოგადოებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების შეჯერებულ ვარიანტს სთავაზობენ.

პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ თავმჯდომარემ დავით ასათიანმა განაცხადა, არასამთავრობო ორგანიზაციები მზად არიან, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მედიატორის როლი შეასრულონ.

— ვენეციის კომისიამ აღნიშნულ კანონპროექტზე იმსჯელა და საერთო ჯამში იუსტიციის სამინისტროს მიერ შეთავაზებული ცვლილებები დადებითად იქნა შეფასებული, თუმცა არის საკითხები, რაზეც მხარეებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი პოლიტიზებული არ უნდა იყოს და მიგვაჩნია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბებული მოდელი ყველაზე მიახლოებულია ვენეციის კომისიის მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებთან. ჩვენ ვთავაზობთ შეჯერებულ ვარიანტს და აქ საუბარია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთა უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებით. ამ კუთხით ჩვენი აზრია, რომ განხორციელდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთა უფლებამოსილების ეტაპობრივი შეწყვეტა. მოსამართლეებს, რომლებიც საბჭოს წევრად არჩეული არიან ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ და ამავე დროს არიან არჩეული სასამართლოს თავმჯდომარეებად ან მოადგილეებად, უნდა მივცეთ საშუალება, მოახდინონ არჩევა ამ ორ თანამდებობას შორის, ანუ უნდა იყვნენ ან მხოლოდ იუსტიციის საბჭოს წევრები, ან სასამართლოს თავმჯდომარეები. — განაცხადა დავით ასათიანმა.

## ქრისტიან-დემოკრატებმა კახა ბროკიშვილი პარტიიდან გარიცხეს

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით, თბილისის საკრებულოში „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პარტიული სიით არჩეულ წევრს, კახა ბროკიშვილს პარტიის წევრობა შეუწყდა.

როგორც „მედიანიუსს“ ინფორმირებულმა წყარომ განუცხადა, ბროკიშვილისთვის პარტიის წევრობის შეწყვეტის მიზეზი მისი მხრიდან სხვა პოლიტიკური ძალისადმი სიმპატიები გახდა, თუმცა წყაროს არ დაუკონკრეტებია, რომელ პარტიას გულისხმობდა.

მისი თქმით, ბროკოშვილის და „ქრისტიან-დემოკრატების ინტერესი ერთმანეთს არ დაემთხვა და კომიტეტმა მისი პარტიიდან გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღო.

მედიანიუსი

## გამოცდების ეროვნული ცენტრი ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურს ატარებს

16-17 მარტს დაგეგმილია ფიზიკისა და ქიმიის ოლიმპიადის მესამე ტურის ჩატარება. ოლიმპიადის მესამე ტური ქართულ ენასა და ლიტერატურაში, გეოგრაფიაში, ბიოლოგიასა და ინგლისურ ენაში 9 და 10 მარტს გაიმართა. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტური 24 მარტს დასრულდება.

მესამე ტურში გადასულმა ყველა მოსწავლემ „ქარჩხაძის გამომცელობისგან“ მიიღო ფასდაკლება ინტერნეტით შეძენილ წიგნებზე (წწწ.კარცჰკადზე.გე). გამომცემლობამ გამოცდების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით წამოიწყო აქცია „ჩვენ ერთად ვავრცელებთ ცოდნას“, რომელიც სერტიფიცირებული პედაგოგებისათვის, 2012 წელს საუკეთესო შედეგებით ჩარიცხული სტუდენტებისათვის და 2012-2013 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის მონაწილეებისათვის სპეციალურ ფასდაკლებას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

## მტკვარში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

მაშველებმა თბილისში, მტკვარში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ცხედარი წყალმა რამდენიმე საათის წინ მეტეხის ხიდთან გამორიყა.

როგორც ,,მედიანიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან აცნობეს, გარდაცვლილი 69 წლის ალიოშა გვარამიაა.

ადგილზე პოლიციის წარმომადგენლებიც მუშაობენ. გარდაცვალების მიზეზებს გამოძიება დაადგენს.

მედიანიუსი

# პარლამენტის შუალედური არჩევნები 2013 წლის 27 აპრილს დაინიშნა

ნათია ხურცილავა

კარგი არჩევნების ჩასატარებლად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გარკვეულ ნორმებთან ერთად პოლიტიკურ ნებასაც ასახელებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის განცხადებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, შუალედური არჩევნების კანონმდებლობის სრული დაცვით ჩასატარებლად მზად არის. გუშინ ხარატიშვილმა პრესკონფერენცია გამართა ინტერნეტგამოცემა „ფორ.გე“-ს პრესკლუბში, სადაც განაცხადა, რომ საარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში 28 მარტიდან, ანუ მას შემდეგ შევა, რაც პარტიები საკუთარ კანდიდატებს დაასახელებენ.

— რეალური პოლიტიკური თვალსაზრისით, სამი დეპუტატი გადამწყვეტი არ არის, თუმცა ეს იქნება პირველი წესი, რომელიც გვაჩვენებს, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ როგორი ტენდენციით ხასიათდება ამომრჩეველთა განწყობა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი არჩევნები იქნება. — განაცხადა ზურაბ ხარატიშვილმა.



როგორც ცნობილია, პარლამენტის შუალედური არჩევნები 2013 წლის 27 აპრილს დაინიშნა. შუალედური არჩევნები თბილისის ნაძალადევის, ბაღდათისა და სამტრედიის საარჩევნო ოლქებში ჩატარდება. 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში ამ ოლქებში გამარჯვებულ დეპუტატებს: თეა წულუკიანს, კახი კალაძესა და არჩილ კბილაშვილს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლის გამო შეუწყდათ.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციულ ჯგუფს საკუთარ რეკომენდაციებს სთავაზობს. როგორც ცესკოს თავმჯდომარემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იგი საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის აქტიურად მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს. მისი თქმით, ამ დროისთვის ინტერფრაქციულ ჯგუფს რამდენიმე რეკომენდაციას სთავაზობს. პირველი რეკომენდაციაა საარჩევნო სისტემის გამარტივება.

კონკრეტულად კი მისი მოსაზრებით, არჩევნები უნდა ჩატარდეს მხოლოდ პროპორციული სისტემით, თუმცა სიები ღია უნდა იყოს.

— საერთო ეროვნული პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემა ღია სიით ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და დემოკრატიული საარჩევნო სისტემაა, ხოლო ფორმით ის პრაქტიკულად შეიძლება აღიქმებოდეს დღეს არსებული ორი ბიულეტენის: მაჟორიტარულისა და პროპორციულის ერთ ბიულეტენად გაერთიანებად. — განმარტა ზურაბ ხარატიშვილმა.

ცესკოს თავმჯდომარის განცხადებით, შედეგების დროულად შეჯამების მიზნითვე, უნდა გამარტივდეს ბიულეტენების დათვლის არსებული პროცედურები და თანამედროვე საარჩევნო ტექნოლოგიები დაინერგოს.

არჩევნებში მონაწილე პარტიებისთვის ბარიერი 0,67 პროცენტამდე უნდა შემცირდეს, ხოლო პარტიებს არჩევნებში მონაწილეობისთვის უნდა დაუწესდეთ დეპოზიტი 50.000 ლარის ოდენობით, რომელიც ხმების 0,5 პროცენტის მიღების შემთხვევაში უკან დაუბრუნდებათ.

ხარატიშვილის მეორე რეკომენდაცია საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაა. ცესკოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ყველა დონის კომისიის წევრი კონკურსის საფუძველზე, მაღალი კვორუმით უნდა შეირჩეს. პარტიის მიერ დანიშნული წევრის გამოწვევა შეიზღუდოს, ხოლო პროფესიული ნიშნით არჩეული წევრების უფლებამოსილების ვადა 5-დან 7 წლამდე გაიზარდოს. ამასთან, ყველა დონის კომისიის წევრს დანიშვნამდე და გათავისუფლების შემდეგ 2-2 წლით პარტიული საქმიანობა უნდა შეეზღუდოს.

ზურაბ ხარატიშვილის განცხადებით, კარგი კანონმდებლობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს პანაცეა არ არის.

— ეს არ არის საკმარისი. კარგი არჩევნების ჩასატარებლად პოლიტიკური ნებაც აუცილებელია. — დასძინა ზურაბ ხარატიშვილმა.

# სკანდალი სადაზღვევო კომპანიების ირგვლივ

## ჯონი ჯანაშია: „საქართველოში დღემდე მოქმედებს ბენდუქიძის მიერ ჩამოყალიბებული და შექმნილი კაბალური კანონი“

მერი ნამორაძე

გუშინ საქართველოს მედიცინის, ფარმაციის და სოციალური დაცვის მუშაკთა დამოუკიდებელმა პროფკავშირმა და ჰოსპიტალური ქსელ „ადითის“ სამედიცინო პერსონალმა საპროტესტო გამაფრთხილებელი აქცია გამართა სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ოფისთან. „ადითი“ საქართველოს სამედიცინო ბაზარზე 2010 წლიდან შემოვიდა და ახორციელებს 9 საავადმყოფოს მენეჯმენტს (აქედან 8 მოქმედია), რომლებიც მის მფლობელობაში გადავიდნენ 2010 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ტენდერში გამარჯვების შემდეგ. როგორც ჰოსპიტალური ქსელის წარმომადგენლებმა განაცხადეს, „ადითი“ ასრულებს ვალდებულებებს, რაც გამოიხატება ინვესტიციების ჩადებაში, სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაში, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდაში. 2012 წლის მაისის შემდეგ კი სადაზღვევო კომპანიებმა „აი-სი-გრუპმა“ და „არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ“ შეწყვიტეს ვალდებულებების პირნათლად შესრულება და დროულად არ ანაზღაურებენ შესრულებულ სამუშაოს. მიუხედავად ამისა, „ადითმა“ მოახერხა ხელფასები გაეცა დეკემბრის ჩათვლით ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებაში. გამონაკლისია ქარელი, დედოფლისწყარო, ლენტეხი და ლანჩხუთი. სადაზღვევო კომპანიების ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ხელფასების დაგვიანებას, მედიკამენტებისა და სხვა სახარჯი მასალის შეძენის შეფერხებას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შეფერხებას. წარმოიდგინეთ, რა დამოკიდებულება ექნება თვეობით ხელფასაუღებელ ექიმს პაციენტთან.

„ახალი თაობა“ გუშინდელ აქციასთან დაკავშირებით მედიცინის, ფარმაციისა და სოციალური დაცვის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის პრეზიდენტ ჯონი ჯანაშიას ესაუბრა.

***— ბატონო ჯონი, რატომ გახდა აუცილებელი რაიონებიდან მედიკოსების ჩამოსვლა?***

— საპროტესტო აქციაზე ჩამოვიდნენ დედოფლისწყაროს, ლენტეხის, ლანჩხუთის, ქარელის, მედიცინის მუშაკები. მათ ხმამაღლა დააფიქსირეს პროტესტი იმ ცუდი პოლიტიკის და საქმიანობის შესახებ, რასაც სადაზღვევო კომპანია აწარმოებს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამკურნალო დაწესებულებების გადაცემა მოხდა სადაზღვევო კომპანიებზე, ვამბობდით, რომ არ შეიძლება სადაზღვევო კომპანიები მართავდნენ სამკურნალო დაწესებულებებს. ეს არის ერთმანეთისგან განცალკევებული დარგები და მათი მხრიდან სამკურნალო დაწესებულებების მართვა ნიშნავს ანტიმონოპოლიური კანონის დარღვევას. ამ პროცესმა ბევრი ცუდი რამ გამოიწვია. შეიძლება სადაზღვევო კომპანიები თავად არ იყვნენ ამაში დამნაშვენი, მაგრამ ეს იყო მთავრობის მიერ გადადგმული გაუაზრებელი ნაბიჯი, არასწორი პოლიტიკით წარმოებული, რადგან დახარჯულ იქნა იმ თანხების უმეტესი ნაწილი, რომელის ჯანდაცვას უნდა მოხმარებოდა. გამოსავლად იპოვეს ვითომ ყველაზე მდიდარი ორგანიზაციები, რომლებსაც უნდა აეშენებინათ და ემართათ სამკურნალო დაწესებულებები. ამან



გამოიწვია ბევრი სადაზღვევო კომპანიის გაღარიბება-გაღატაკება, რომლებიც აღარ მოერიდნენ არასწორი პროცესების დაწყებას, მხედველობაში მაქვს ექიმების დათხოვნა, სამკურნალო მომსახურების ფასების გაზრდა. გარდა ამისა, კომპანიებმა უნდა აწარმოონ მთელი რიგი ფინანსური ოპერაციები, ისინი იღებენ მონაწილეობას პროგრამების დაფინანსებაში.

იმისათვის, რომ ეს კომპანიები იყვნენ ისევ „თბილად“, ძველებურად და თავად ხელგაშლილად იცხოვრონ, ყველანაირად ავიწროვებენ ექიმებს. მედიკოსების ანაზღაურება მინიმემამდეა დასული, არ ხდება მთელი რიგი განხორციელებული სამუშაოების ფინანსური ანაზღაურება. ამ მხრივ ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უკავია „არქიმედე გლობალ ჯორჯიას“. მისი დავალიანება კონკრეტულად ამ შემთხვევაში შეადგენს დაახლოებით 150 ათას ლარს. ამიტომ ექიმები სხვადასხვა რაიონებიდან – ქარელიდან, დედოფლისწყაროდან, ლენტეხიდან, ლანჩხუთიდან ჩამოვიდნენ თბილიში საპროტესტო აქციის გასამართად. ამას ჩვენ გავუკეთეთ ორგანიზება, რათა ხმამაღალი პროტესტი გამოვხატოთ ამ უმსგავსობის გამო, რასაც „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ აკეთებს.

***— თქვენ, ალბათ, უკვე გქონდათ კონტაქტი ამ სადაზღვევო კომპანიასთან. რა პასუხი აქვთ მათ, რატომ არ ნაზღაურდება შესრულებული სამუშაო?***

— საქმე იმაშია, ეს კომპანია იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც არანაირ კონტაქტზე არ გამოდის. ჩვენ გვქონდა იმის მცდელობა, რომ მათთან გაგვემართა სოციალური დიალოგი, მაგრამ პირველსავე მცდელობის შემდეგ კარები მოგვიჯახუნეს და არანაირი ურთიერთობა არ აქვთ ჩვენთან, არ პასუხობენ ჩვენს ზარებს, არ იღებენ ინფორმაციას, არ მოდიან დიალოგზე. გარდა ამისა, ისეთ მდგომარეობაში ამყოფებენ იმ სამკურნალო დაწესებულებებს, რომლებსაც უნდა აფინანსებდნენ, რომ კაბალური პროცესები წარმართეს მედპერსონალის წინააღმდეგ. გაათავისუფლეს ძალიან ბევრი მედმუშაკი დაკავებული თანამდებობიდან.

***— რა მოტივით ათავისუფლებენ ექიმებს?***

— მოგეხსენებათ, საქართველოში დღემდე მოქმედებს ბენდუქიძის მიერ ჩამოყალიბებული და შექმნილი კაბალური კანონი, რომელსაც შრომითი კოდექსი ჰქვია, სადაც არის ორი მუხლი – 37-ე და 38-ე, განსაკუთრებით, 37-ე „დ“ მუხლზე, რომელიც არანაირ ვალდებულებას არ აკისრება დამსაქმებელს აუხსნას დასაქმებულს, რატომ ათავისუფლებს სამსახურიდან. ყოველგვარი მიზეზების გარეშე – ღილი რატომ არ გაქვს შეკრული, შენი გამოხედვა არ მომწონს, ან შენი თვალის ფერი და ამის გამო შეიძლება გაათავისუფლონ ექიმი. მაგალითად ერთ-ერთი საავადმყოფოდან უმიზეზოდ გაათავისუფლეს არაჩვეულებრივი ბებია-ქალი ქეთევან მემანიშვილი, მის ადგილზე მოიყვანეს მოკლეკაბიანი გოგონები, რომლებიც უბრალოდ ვიზუალურად აკმაყოფილებენ დამქირავებელთა გემოვნებას. მოგეხსენებათ, ფასადურ პოლიტიკაზე იყო აგებული საქმიანობა წინა ხელისუფლების და მათ მიერ ხელდასხმული ორგანიზაციების მიერ. როცა კრიტიკული ვითარება შეიქმნება იმ საავადმყოფოში, ისევ იმ ქეთევან მემანიშვილს ეძახიან, ოღონდ ამას აკეთებენ ჩუმად საავადმყოფოს მესვეურები, რომ არ გაიგონ ამის შესახებ საავადმყოფოს მფლობელებმა. მაშინ, როცა მათ მიერ განებივრებული მოკლეკაბიანი გოგონები სისხლის დანახვაზე ცუდად ხდებიან.

კიდევ ერთი, „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ აფინანსებდა ადრე პოლიკლინიკურ პროგრამებს, რამდენიმე თვის წინ დაარღვიეს ტერიტორიული პრინციპი და დაფინანსება შეუწყვიტეს მთელ რიგ პოლიკლინიკებს. მთელი რესურსები ერთ-ერთ მათ მიერ შერჩეულ სამკურნალო დაწესებულებას გადაულოცეს. ამან გამოიწვია ბევრი ექიმის ულუკმაპუროდ დარჩენა, პოლიკლინიკები დაუფინანსებელი დარჩა, გარდა ამისა, იმ მოხუცებს, იმ უმწეოებს, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ თავის სახლთან ახლოს პირველადი სამედიცინო დახმარების მიღებას, მოუსპეს ეს საშუალება და გაწირეს იმისათვის, რომ ფეხით თუ ავტობუსით თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებებით ათი გაჩერება გაიარონ.

***— ჯანდაცვის სამინისტროს მედიაციის სამსახური რამდენად ასრულებს თავის ფუნქციას ამ შემთხვევაში?***

— ამ შემთხვევაში მედიაციის სამსახური უნდა ასრულებდეს ფუნქციას. შეიძლება ასრულებს კიდეც, მაგრამ მათი მოქმედება ძალიან არაეფექტურია. მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტი არანაირ ძალას არ ფლობს, ვერ აიძულებს ამა თუ იმ მხარეს წამოვიდეს დათმობაზე. სწორედ ამან გამოიწვია „ადითის“ ჰოსპიტლების ასეთ მდგომარეობამდე მიყვანა.

***— როგორ ფიქრობთ საბოტაჟის ნიშნები ხომ არ იკვეთება, სადაზღვევო კომპანიის მხრიდან, რადგან დავალიანება ძირითადად არჩევნების შემდგომ პერიოდში დაგროვდა.***

— პირველი საბოტაჟი, რაც გააკეთეს, იყო ის, რომ არჩევნებიდან ძალიან მალე, რევერანსების გარეშე საავადმყოფოებიდან ექიმები დაითხოვეს. ამაში, პირდაპირ გეუბნებით, იყო საბოტაჟური მოქმედება, რადგან მათ შერჩევითად გაუშვეს ხალხი. მაშინ, როცა ექიმებს დაუმთავრდათ ხელშეკრულების ვადა, ნაწილი შერჩევითად გაუშვეს. გაუშვეს ის ხალხი, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას მხარს არ უჭერდა.

***— ანუ პოლიტიკური დევნა ამ სფეროშიც ჩვეულებრივი ფაქტი იყო.***

— დახ! ვითომ ირიბად აკეთებდნენ ამას, მაგრამ ფაქტია, რომ ასე მოხდა. ახლანდელი მათი მოქმედებაც აშკარად ატარებს საბოტაჟურ სახეს. მინდა გითხრათ, რომ დღევანდელი ჩვენი ქმედება არანაირად არ არის პოლიტიკური მიზნებით გამოწვეული. ჩვენ ვიცავთ ექიმების უფლებებს და სხვა გამოსავალი რომ აღარ დაგვიტოვეს, იძულებული ვართ, დავიწყოთ ასეთი გამაფრთხილებელი მოქმედება, რომელიც შემდეგ შეიძლება უფრო მკაცრ ქმედებებში გადაიზარდოს.

***— საპროტესტო აქციებს მართავენ სასწრაფო დახამრების ექიმებიც. თუ ხართ ამ პროცესებში ჩართული და რა კომენტარს გააკეთებთ იქ შექმნილ მდგომარეობაზე?***

— ვიდრე სასწრაფო სამედიცინო დახმარებაში პროცესები ასე განვითარდებოდა, ჩვენ დავუკავშირდით იქ მომუშავე ექიმებს და შევთავაზეთ თანამშრომლობა, მაგრამ ისინი არ წამოვიდნენ ჩვენთან თანამშრომლობაზე და ურთიერთობაზე. ჩამოაყალიბეს საკუთარი პროფკავშირი. ვიყავით მათთან, როცა შიმშილობა დაიწყეს და ჩვენი ჰუმანური პოზიციებიდან გამომდინარე ვესაუბრეთ. თუმცა, ბოლომდე არ ვიზიარებთ მათ აზრს. როდესაც პრობლემის განხილვა ხდება, უნდა მოუსმინო ერთ მხარესაც და მეორე მხარესაც. მათი ქმედება რადიკალურია. მაინც შევთავაზეთ, რომ ვიკისროთ მედიატორის როლი დამსაქმებლებსა და მათ შორის. თავდაჭერლი თანხმობა თქვეს, მაგრამ კონკრეტული თარიღი არ დაუსახელებიათ. მაინც ველოდებით მათ ზარს და მზად ვართ ვიკისროთ მედიატორის როლი.

# კახა კუკავა: „ივანიშვილმა სააკაშვილი დაჯაბნა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რის პოლიტბიუროს შესახებ, რომ ეს არის ბულდოგების ომი ხალიჩის ქვეშ, რომლის შედეგსაც მხოლოდ მას შემდეგ გავიგებთ, როდესაც ერთ დამხრჩვალ ბულდოგს გადმოაგდებენო. აი, დაახლოებით ეს მოვლენა მიდის საქართველოში, ვინ ვის მოახრჩობს, ბრძოლაა პირდაპირ მოხრჩობაზე და ყველაფერი დანარჩენი უბრალოდ არის ატრიბუტები. თუ ივანიშვილმა მოახერხა სააკაშვილის პოლიტიკური იზოლაცია ბოლომდე, მაშინ ეს ყველა კანონი იქნება მიღებული რიხინ-რიხინით. თუ პირიქით მოხდა და ივანიშვილის იზოლაცია მოახდინა სააკაშვილმა, მაშინ ეს კანონმდებლობა დღის წესრიგიდან მოიხსნება და ასე შემდეგ.

***— კონტურები როგორი იკვეთება, ვინ ვის იზოლაციას მოახდენს?***

— ბოლო რამდენიმე სვლა ივანიშვილმა უფრო ძლიერი გააკეთა. ყოველ შემთხვევაში შეხვედრის შემდგომ, რომელიც მათ შორის გაიმართა, ივანიშვილი უფრო თავდაჯერებული ჩანდა. თუმცა ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არ არის მარტო შიდა ქართული თამაში და რომ ამ თამაშში მონაწილეობენ მსოფლიოს გავლენიანი სახელმწიფოები.

***— ითქვა ისიც, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები აუცილებლად შევა და რომ უმცირესობიდანაც ბევრი დაუჭერს მხარს ამ ცვლილებებს... როგორ ფიქრობთ, ამაზეც შეთანხმდნენ?***

— კონსტიტუციასთან დაკავშირებითაც ზუსტად იგივე ხდება, ხალიჩის ქვეშ ომი მიმდინარეობს, იმიტომ, რომ ჯერ არავინ იცის, რეალურად მართლაც აქვს თუ არა ბიძინა ივანიშვილს საკონსტიტუციო უმრავლესობა. ის ამბობს ამის შესახებ, მაგრამ იგივე ვახტანგ ხმალაძემ დაადასტურა, რომ ეს უმრავლესობა არ არსებობს. სეკას თამაშს ჰგავს ეს ყველაფერი, ბლეფით მიმდინარეობს თამაში. ივანიშვილი ამბობს, რომ მე მაქვს ორი ჯოკერი და სააკაშვილს ეუბნებიან, თუ გინდა, დანებდი, თუ გინდა, იბრძოლე და მაშინ შენთვის უარესი იქნება. რეალურად მე დარწმუნებული ვარ, რომ ღიად ასი კაცი საპარლამენტო კორპუსიდან კონსტიტუციას მხარს არ უჭერს. თუ ღიად შეეკითხებიან ყველა დეპუტატს, ვინ რა გადაწყვეტილების მიღებას აპირებს, ისინი ალბათ იტყვიან, რომ მათი საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გროვდება. თუმცა სააკაშვილი მაინც ვერ არის მშვიდად, იმიტომ, რომ ივანიშვილმა თავის ღია წერილში იხმარა ასეთი ტერმინი, დაფასება იმ დეპუტატებისა, რომლებიც ხმას მისცემენ საკონსტიტუციო ცვლილებების. დაფასება რა თქმა უნდა აღქმული იქნა, როგორც ერთგვარი მატერიალური დაინტერესება და სააკაშვილი თვითონ იცნობს ძალიან კარგად თავის დეპუტატებს, რა გამყიდველები არიან და რა კორუმპირებულებიც არიან. ამიტომ მას ეშინია ის დეპუტატები, რომლებიც მას მხარდაჭერას ჰპირდებიან, საბოლოო ჯამში ფარული კენჭისყრის დროს შეიძლება ივანიშვილის მიერ აღმოჩნდნენ გადაბირებული. სხვათა შორის, ამგვარი რამ მოხდა საპარლამენტო არჩევნების დროს, როდესაც ის ხალხი, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორებმა მიიყვანეს ავტობუსებით, ხმას ქართულ ოცნებას აძლევდნენ. ასეთი რეციდივი შეიძლება ახლა განმეორდეს დეპუტატების დონეზეც. ივანიშვილი ეუბნება, რომ მე მყავს 130 დეპუტატი, სააკაშვილისთვის ეს დაუჯერებელია, მაგრამ თან ეშინია, ვაითუ მართლა ჰყავდეს. ახლა ამის გამორიცხვა შეუძლებელია, რადგან მან კარგად იცის, რომ გიგი წერეთელმა რამდენიც არ უნდა იძახოს, არ მივცემ ხმასო, ვინ დაუდგება ახლა გიგის თავდებში, რომ მაინცდამაინც პრინციპებს დაიცავს ბოლომდე. მისნაირები კიდევ ძალიან ბევრნი არიან ნაციონალებში.

***— რაც შეეხება აპრილს, თქვენ ფიქრობთ, რომ შედარებით მსუბუქად ჩაივლის აპრილი?***

— არა, აპრილში მე ვფიქრობ, რომ ძალიან რეალურია პრეზიდენტის მიერ მთავრობის გადაყენების ალბათობა, გამომდინარე იქიდან, რომ შეიძლება ეს იყოს სააკაშვილის ბოლო შანსი. მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ის გამოიყენებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ის ამ შესაძლებლობას ძალიან ინტენსიურად განიხილავს და თუ სულ პატარა მხარდაჭერა მაინც მიიღო დასავლეთიდან, ამას აუცილებლად გააკეთებს. რისიც მე მეშინია ყველაზე მეტად, არის ის, რომ 19 აპრილს რაიმე პროვოკაციული არ მოაწყონ.

***— თუკი მოხერხდა და შეიკვეცა პრეზიდენტის უფლებები 19 აპრილამდე, მაშინ რამდენად ექნებათ იმის ხალისი, რომ პროვოკაცია მოაწყონ?***

— 19 აპრილამდე შეუძლებელია, არა მგონია, რომ სამი მოსმენით მოასწრონ. რა გითხრათ, თუ მოასწრეს სამი მოსმენით, ეს უკვე იქნება პენალი.

# ბიძინა ივანიშვილი რეგიონული მედიის წარმომადგენლებს შეხვდება



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, 14 მარტს რეგიონული მედიის წარმომადგნლებთან გამართავს შეხვედრას.

შეხვედრაზე დასასწრებად, მოქმედი რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის, სააკრედიტაციო განაცხადების მიღება უკვე დაიწყო.

ეს პრემიერ-მინისტრის პირველი შეხვედრაა რეგიონულ მედიასთან. შეხვედრა 11 საათზე დაიწყება.

ნიუსპრესი

# თბილისის გზების სრული რეაბილიტაცია ორ წელიწადში დასრულდება

თბილისის მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, დედაქალაქის მასშტაბით, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გრძელდება და ქალაქის ყველა რაიონში, გზების რეაბილიტაცია ორი წლის განმავლობაში დასრულდება.

გუშინ სამგორის რაიონში, ლილოს დასახლებაში, რუსთაველის ქუჩაზე, სადაც 4 000 კვ.მეტრ ფართობზე ასფალტის კაპიტალური საფარი იგება, სამუშაოები თბილისის მერმა გიგი უგულავამ დაათვალიერა.

მერიის პრესსამსახურის ინფორმაციითვე, სამუშაოები აღნიშნულ მონაკვეთზე თვის ბოლოს დასრულდება.

ნიუსპრესი



# ნოდარ ხადური ჟურნალისტებთან საანგარიშო შეხვედრას გამართავს

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, დღეს, ჟურნალისტებთან საანგარიშო შეხვედრას გამართავს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მინისტრი ჟურნალისტებს თებერვლის თვის ანგარიშს წარუდგენს.

ნიუსპრესი

# ვანო მერაბიშვილი: „19 აპრილს ყველას ვაჩვენებთ ჩვენს ძალას“

### ზურაბ ადეიშვილი ამ აქციას ვერ დაესწრება

შორენა მარსაგიშვილი

მრავლისმომსწრე და მრავლისგამგონე ჩემი ქვეყანა გუშინ კიდევ ერთმა ინფორმაციამ გააოგნა. სააგენტო „ფორტ ნევსმა“ გვახარა, რომ ძალიან მალე საქართველოს ზურაბ ადეიშვილი დაუბრუნდებაო. ადეიშვილმა მშობლიური ქვეყანა 2 ოქტომბერს დატოვა. სააკაშვილის მტკიცებით, ის ახლა ევროპაში ტრამვაით დადის.

ტრამვაით მოსიარულე ადეიშვილს კბილაშვილის სმაილიკი დაჰყვება თან. მას ბრალი რამდენიმე საქმეში აქვს წაყენებული. რაც იმას არ ნიშნავს, რომ ადეიშვილს პატიმრობა ემუქრება. საოცნებო ხელისუფლებამ ვინც დაიჭირა, ყველა გაათავისუფლა. ბაჩო ახალაია გახლავთ ამ მხრივ მხოლოდ გამონაკლისი. ჰოდა, ადეიშვილსაც თუ გასკვანჩავენ, მასაც რამდენიმეათასიანი გირაოთი გამოუშვებენ გარეთ, კოჰაბიტაციის ხათრით, რასაკვირველია.

რამდენიმე დღის წინ საქართველოში დიმიტრი შაშკინიც დაბრუნდა. საქართველოდან ისიც არჩევნების შემდეგ წავიდა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მან ახალი ხელისუფლებისგან გარანტიები მიიღო. გასათვალისწინებელია, რომ შაშკინი ამერიკის კაცად ითვლება. ამერიკის ხალხს კი ჩვენთან სხვანაირად სცემენ პატივს.

ადეიშვილის შესაძლო დაბრუნების ამბავმა ერში დიდი შფოთი და ღელვა გამოიწვია. შეშფოთებული ერი ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა დაამშვიდა.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი საქართველოში უახლოეს მომავალში ჩამოსვლას არ აპირებს.

– აქედან გამომდინარე, ნაციონალურ მოძრაობას 19 აპრილის აქციაზე ერთით ნაკლები ადამიანი ეყოლება. იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი საქართველოში ჩამოსვლას უახლოესი თვეების განმავლობაში არ აპირებს, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირცხვილი ხელისუფლების, რომ ძალიან ბევრი ჩვენი ქვეყნის რჩეული და პატივსაცემი ადამიანი იძულებულია, საქართველო დატოვოს. ეს არის საქართველოს დიდი ტრაგედია, რადგან ხშირად საქართველოს პოლიტიკურ ელიტას უხდება ქვეყნის დატოვება. ეს არის კიდევ ერთი მტკიცებულება, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც საქართველოს მომავლის არ ესმის და რეპრესიებს ახორციელებენ, – აცხადებს დამწუხრებული მერაბიშვილი.

ნამინისტრალი მერაბიშვილი ამბობს, რომ ის ყოველდღე ესაუბრება ტელეფონით ზურაბ ადეიშვილს. ექსმინისტრი შეწუხებულია იმის გამო, რომ მათი სატელეფონო საუბრები ისმინება. ისე, რა ოხერია ეს ცხოვრება, ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ მთელ საქართველოს ისინი უსმენდნენ, ახლა კი მათ უსმენენ.

მოსმენებით შეწუხებული მერაბიშვილი 19 აპრილზე დიდ იმედებს ამყარებს. 19 აპრილს ნაცმოძი პარლამენტის წინ აპირებს დიდი შეკრების მოწყობას. აქციის ორგანიზება, ეტყობა, მას აქვს დავალებული. ხალხის მოსაზიდად მერაბიშვილმა უკვე ამოიცვა რკინის ქალამნები. მან ქვეყნის შემოვლა მშობლიური მხარიდან დაიწყო.

სამცხე-ჯავახეთში ვოიაჟით მერაბიშვილი კმაყოფილია. სჯერა, რომ იქიდან ბევრი ხალხი ჩამოვა. დღეს მერაბიშვილი დასავლეთ საქართველოში მიდის.

– აქციაზე იმ რაოდენობის ხალხს ველოდები, რომ საკმარისი იყოს, რათა საქართველოს ხელისუფლება დარწმუნდეს, რომ ქვეყანაში არიან ადამიანები, ვისთვისაც საქართველოს მომავალი სულერთი არ არის. ეს იქნება აქცია საქართველოს მასშტაბით და აქ მხოლოდ რაოდენობას კი არა, წარმომადგენლობითობასაც აქვს მნიშვნელობა. ყველა რეგიონის მოსახლეობას უნდა მიეცეს საშუალება, მასში მიიღოს მონაწილეობა, – განაცხადა მერაბიშვილმა.

მან გუშინ კიდევ ერთხელ მოუწოდა საზოგადოებას, მიუხედავად პოლიტიკური ორიენტაციისა, 19 აპრილს, 16:00 საათზე რუსთაველის გამზირზე ქართველი ხალხის პოლიტიკური ნება კიდევ ერთხელ დააფიქსიროს.

– გასულ კვირას ევროპარლამენტის ჯგუფმა საქართველოში გამოაგზავნა წერილი, რომელსაც ხელს აწერენ სხვადასხვა ქვეყნებისა და სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლები და ეს წერილი ძალიან საგანგაშოა ჩვენთვის. ეს არის პირველი წერილი საქართველოს ბოლო წლების ისტორიაში, როდესაც ევროპარლამენტის წევრები შეშფოთებას გამოთქვამენ ქვეყნის მომავალთან, მის ევროპულ გზასთან დაკავშირებით. ზუსტად ამიტომ, „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ერთხელ მოუწოდებს საზოგადოების წარმომადგენლებს, მიუხედავად პარტიული და პოლიტიკური ორიენტაციისა, მოვიდეთ 19 აპრილს, 16:00 საათზე რუსთაველის პროსპექტზე და კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ



ქართველი ხალხის პოლიტიკური ნება, რომ საქართველოს განვითარების გზა გადის მხოლოდ ევროპაზე და ნატო-ზე. ჩვენ განაცხადი შეტანილი გვაქვს. ეს აქცია არის მშვიდობიანი და ჩვენ კიდევ ერთხელ დავანახებთ ჩვენს ხელისუფლებას და ევროპას, რომ ქართველი ხალხის ნება არის ურყევი. მე ვიცი, რომ ამ აქციას შეუერთდება ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია, სამოქალაქო ჯგუფები და ყველანი ერთად დავანახებთ როგორც ხელისუფლებას, ისე ჩვენს მეზობლებს და ევროპას, რომ ქართველი ხალხის ნება არის მტკიცე. ეს აქცია არ არის მიმართული რომელიმე ჩვენი მეზობლის წინააღმდეგ, ჩვენ პატივს ვცემთ მათ არჩევანს, მაგრამ საქართველოს გზა არის საქართველოს გზა, – განაცხადა მერაბიშვილმა.

წინა კვირაში პარლამენტმა უკვე მიიღო რეზოლუცია ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის შეუქცევადობის თაობაზე. მეოცნებეები გახარებული იყვნენ, ნაციონალებს 19 აპრილის აქცია ჩავუშალეთო, მაგრამ ნურას უკაცრავად. აქცია მაინც გაიმართება. მერაბიშვილს წინა კვირას მიღებული რეზოლუცია არ აკმაყოფილებს.

საქართველოს ევროპული გზა მხოლოდ დეკლარაციას არ ნიშნავს, – აცხადებს ყოფილი პრემიერი.

რაც შეეხება მერაბიშვილის და ნაცმოძის დაწუნებულ ტექსტს. რეზოლუციის ტექსტი ასეთია:

1. საქართველოს საგარეო ურთიერთობების კურსი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ინტერესებით, მისი მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფის ამოცანიდან გამომდინარე;

2. საქართველოს საგარეო ურთიერთობების პოლიტიკის ამოცანებია ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების შექმნა, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა, ტერიტორიების დეოკუპაცია და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ქვეყნის ერთიანობის აღდგენა;

3. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციაში გაწევრიანების სტრატეგიული პრიორიტეტების მისაღწევად საქართველო გადადგამს შემდგომ ნაბიჯებს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და გაძლიერების, სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული მართვის სისტემისა და ადამიანის უფლებათა უზენაესობის დამკვიდრების, მდგრადი ეკონომიკური განვითარების შეუქცევადობის უზრუნველყოფის მიზნით. საქართველო არ გაწევრიანდება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთა პოლიტიკაც ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრიორიტეტს;

4. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპული და ევროატლანტიკური კურსი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მდგრად დემოკრატიულ განვითარებას და ქვეყნის უსაფრთხოებას და არ არის მიმართული რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ;

5. საქართველო განახორციელებს თანამიმდევრულ პოლიტიკას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ბუქარესტის და შემდგომ სამიტებზე საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების აღსასრულებლად. უახლოესი პერიოდის ამოცანას წარმოადგენს შეთანხმების მიღწევა მოდალობებსა და ვადებზე;

6. საქართველო სრულად იზიარებს მსოფლიოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე რეაგირების საერთაშორისო ძალისხმევაში მონაწილეობის ვალდებულებას. ამ მიმართებით საქართველოს მიერ საერთაშორისო სამშვიდობო, საპოლიციო და სამოქალაქო ოპერაციებში წვლილის შეტანა ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია;

7. საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შესრულება, რომლებიც საქართველოს საშუალებას მისცემს წარმატებით დაასრულოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან ასოცირების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანახმების და ვიზების ლიბერალიზაციის თაობაზე;

8. ევროკავშირთან თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ და „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში განვითარდება ოთხი ძირითადი მიმართულებით: დემოკრატია და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, გარემოს დაცვა და ენერგოუსაფრთხოება, ადამიანთა შორის ურთიერთობები. პრიორიტეტულად განიხილება ასევე თანამშრომლობა სამშვიდობო პროცესების განვითარების სფეროში;

9. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას საქართველო წარმართავს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პირობებით. მის ფარგლებში განიხილება ოთხი ძირითადი მიმართულება:

– თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, მათ შორის თავდაცვის სფეროში გაფართოებული პროგრამის რეალიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება და ნატოს წევრობისათვის მომზადება, აგრეთვე, შეიარაღებული ძალების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის განხორციელება;

– თანამშრომლობა ეკონომიკის, ვაჭრობის და ენერგეტიკის სფეროებში, მათ შორის შეთანხმების მიღწევა თავისუფალი ვაჭრობის საკითხზე;

– დემოკრატიის გაძლიერება;

– ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავება, მათ შორის შეთანხმების მიღწევა უვიზო რეჟიმის საკითხებზე.

10. ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ისევე როგორც ევროკავშირთან, როგორც მთავარ სტრატეგიულ პარტნიორებთან არსებული შეთანხმებებით დასახული ამოცანების შესრულებას საქართველო, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს როგორც ვალდებულებას საკუთარი საზოგადოების წინაშე;

11. საქართველო რუსეთთან დიალოგს წარმართავს როგორც ჟენევაში მიმდინარე საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით, ისე ორმხრივ ფორმატში. ამ დიალოგის მიზანია კონფლიქტის მოგვარება, კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება;

12. საქართველო ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის და რუსეთის ფედერაციის პოზიციების დაახლოებას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების და ჰელსინკის პრინციპების შესაბამისად;

13. საქართველო ხელს შეუწყობს კავკასიაში პოლიტიკურ დიალოგს და ეკონომიკურ თანამშრომლობას რეგიონის სახელმწიფოთა ძირეული ინტერესების თანხვედრისათვის. ჩრდილოკავკასიის ხალხებთან ურთიერთობები დაეფუძნება კეთილმეზობლობის, კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის ისტორიულ გამოცდილებას და ტრადიციებს;

14. მნიშვნელოვანია ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება მეზობელ აზერბაიჯანთან, თურქეთთან და სომხეთთან. ამ ქვეყნებისათვის საქართველო უნდა გახდეს ურ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „გენერალთა კლუბი“ ნუგზარ წიკლაურს რჩევას აძლევს

### რას ერჩის დეპუტატი ყოფილ თავდაცვის მინისტრებს

შორენა მარსაგიშვილი

ცოტა ხნის წინ გავიგეთ, რომ დეპუტატ ნუგზარ წიკლაურისთვის ბაჩანა ახალაიას ძვირადღირებული იარაღი უჩუქებია. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავკაცის ირაკლი სესიაშვილის თქმით, წიკლაურმა ეს იარაღი სახელმწიფოს უნდა დაუბრუნოს. წიკლაური ამბობს, რომ ის ქართულ ჯარს ედგა გვერდით და იარაღი სწორედაც რომ ალალია მასზე.

ქართული და არა მარტო ქართული გაგებით ჯარისთვის გვერდში დადგომა სხვა რამეს ნიშნავს. წიკლაური კი გადმოდგა და ყოფილ თავდაცვის მინისტრებს აგინებს. ბაჩო ახალაიამდელ თავდაცვის მინისტრებზეა საუბარი. ამავე დროს დეპუტატი არ გვეუბნება, სად იყო, როცა ქართული არმია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდა.

ნოდარ ნათაძე, მაგალითად, ომში ჩვენს მებრძოლებს არ მოსცილებია გვერდიდან და როგორც ამბობენ, კაი მეომარიც იყო. მას, წიკლაურისგან განსხვავებით, არასდროს უთქვამს, არმიას გვერდში ვედექიო. წიკლაურის მსგავსად კი ნახევარი საქართველო ედგა ჯარს გვერდით. სად გინახვათ, როდესმე ჯარის წინააღმდეგ გამოსულიყო ხალხი ქუჩაში.

ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და ისევ წიკლაურის მარგალიტებს დავუბრუნდები. რამდენიმე დღის წინ მან საქართველოს თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძეს კრიმინალი უწოდა. როგორც გავარკვიეთ, თევზაძეს წიკლაურისგან ასეთი შეფასება არ სწყენია. სამაგიეროდ, გადაირია „გენერალთა კლუბი“. მათ საგანგებო განცხადებაც გაავრცელეს. „ახალი თაობა“ ამ განცხადებას სრულად გთავაზობთ.



– საქართველოს გენერალთა კლუბი თავს ვალდებულად თვლის, პასუხი გასცეს პარლამენტარ წიკლაურს, 8 მარტს ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის ეთერში ნინო შუბლაძის გადაცემა „პოზიციაში“ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან, ბატონ ირაკლი სესიაშვილთან დებატების დროს საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძის კრიმინალთან გაიგივების გამო.

ვთვლით, რომ საქართველოს გენერალთა კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, „ევროკავკასიური“ უნივერსიტეტის პრორექტორი, აშშ-ს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე ჩვენი ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელია. მან თავისი ცხოვრების გზა სამშობლოს მიუძღვნა და მისდამი მსახურება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავისი მამაცობითა და დაღვრილი სისხლით გამოხატა. მიიღო უმაღლესი სამხედრო განათლება ნატოს წევრი სახელმწიფოების უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში. ღირსების, მამაცობის, საბრძოლო გამოცდილების და სამხედრო განათლების გამო მიენიჭა მას გენერლის წოდება და დაინიშნა თავდაცვის მინისტრად. სწორედ მისი მინისტრობისას დაიწყო ნატოსთან ინტეგრაციის პროცესის ყველაზე აქტიური ფაზა. სწორედ მისი მინისტრობის დროს დაიწყო შეიარაღებული ძალების ძირეული რეფორმა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრების მასობრივი გაგზავნა საზღვარგარეთის პრესტიჟულ უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში, რომელთაც უნდა აეშენებინათ მომავალში ქართული არმია, და რომელთა უდიდესი ნაწილი სწორედ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში იქნა უკანონოდ დათხოვნილი შეიარაღებული ძალების რიგებიდან სწორედ იმის გამო, რომ იყვნენ განათლებულები, გამოცდილები და მათი ცხოვრების კრედო სამშობლოს სიყვარული და ოფიცრის ღირსებაა.

დავით თევზაძის დროს დაიწყო წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, მის დროს ჩაეყარა საფუძველი და დაიწყო სამშვიდობო მისიებში ჩვენი შეიარაღებული ძალების რიგებიდან პირადი შემადგენლობის გაგზავნა. მიუხედავად თავდაცვის სამინისტროს 30 მლ. ბიუჯეტისა, საიდანაც 18 მლ. დაცული მუხლი იყო, კონტროლდებოდა ყველა ის სტრატეგიული სიმაღლე და ის ტერიტორიები, რომლებიც ასე ჩალის ფასად გადაულოცა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ მათთვის ეგრეთწოდებულ „არასასურველ“ რუსეთს. მიუხედავად მწირი ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობებისა ბრძოლისუნარიანობითა და მოტივირებით გაცილებით ქმედითუნარიანი იყო, ვიდრე ვარდოსანთა არაპროფესიონალებითა და პარტიული ნიშნით დაკომპლექტებული მილიარდიანი ბიუჯეტის მქონე თავდაცვის უწყება, რომელმაც არა მარტო ტერიტორიების ნაწილი დაგვაკარგვინა, არამედ ბევრი ღირსეული მამულიშვილის სიცოცხლეც შეიწირა. ქვეყნის თავდაცვის უწ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

2013, 12 მარტი, №59

# დავით კუპრეიშვილი: „მთავარ პროკურატურაში 20 ათასი საჩივარია შესული“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ ადვოკატ დავით კუპრეიშვილთან

***— მიხეილ სააკაშვილმა პირად დაცვაზე უარი განაცხადა. თქვენი აზრით, მისი ეს გადაწყვეტილება ქვეყნის იმიჯს საფრთხეს ხომ არ შეუქმნის?***

— ეს არის სააკაშვილის მორიგი პოპულისტური ნაბიჯი, ხალხს დაანახოს, როგორ უფრთხილდება სახელმწიფოს ქონებას, ბიუჯეტს, რომ არ სჭირდება დაცვა და თავადვე მართავს ელექტრომობილს. ნაცმოძრაობას მთელი ამ ცხრა წლის განმავლობაში მილიარდობით თანხები აქვს შეჭმული. ყოველდღიურად ვიგებთ ტელევიზიით ახალ ინფორმაციებს ამის თაობაზე, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ 2004 წლიდან 2012 წლამდე მარტო თავდაცვის სამინისტროში ბიუჯეტიდან გახარჯულია რვა მილიარდზე მეტი. ჯერჯერობით კონტროლის პალატა არ მუშაობს იმიტომ, რომ კონტროლის პალატის ხელმძღვანელი ნაციონალების წარმომადგენელია, შეიცვლება ლაშა თორდია და კონტროლის პალატაში მივა წესიერი ადამიანი, რომელიც ამოქექავს ყველაფერს. სააკაშვილმა იცის, რომ არაფერი დაიმალება, ხალხის წინაშე ყველაფერი ღია იქნება; სააკაშვილმა სინამდვილეში მოითხოვა 48 მილიონი ლარი დაცვისთვის ბიუჯეტიდან და 2800 კაცი დაცვისთვის. ასეთი დაცვა იმპერატორებს და შაჰებსაც კი არა ჰყავთ და 150 კაცი დაუტოვეს დაცვაში, შვიდი მილიონი ლარი მისცეს და იმდენად განაწყენდა, რომ გაბრაზებულ გულზე, საერთოდ არ მინდაო და იაფი, პოპულისტური შოუ მოაწყო. ტყუილია, დაცვის გარეშე არ დადის სააკაშვილი, სხვა ტელევიზიებმა დააფიქსირეს, რომ სააკაშვილის ელექტრომობილს როგორ მიჰყვებოდა დაცვის ჯიპი. ხალხმა უკვე გამოუტანა განაჩენი სააკაშვილსაც და მის ნაცმოძრაობასაც.

***— როგორც პროფესიონალი იურისტი, როგორ შეაფასებთ იმ გარემოებას, რომ იუსტიციის ძველი შემადგენლობის მიმართ ბევრი პრეტენზიაა, მისი მიკერძოებულობის შესახებ საუბრობენ, უნდა შეიცვალოს თუ არა ახალი შემადგენლობით?***

— მე ვიცნობ პირველ პროექტს, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ შემოიტანა ერთი თვის წინ, სწორედ იურიდიულ კომიტეტში იყო ამ პროექტის განხილვა. მე ვეთანხმები ამ პროექტს. კოტე კუბლაშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, გამოდის და უტიფრად აცხადებს, რომ ახალი ხელისუფლება რასაც აკეთებს, ეს არის სასამართლოს ხელისუფლებაზე თავდასხმა, თითქოს ახალ ხელისუფლებას უნდა დაიმორჩილოს სასამართლოო. ამას აცხადებს ადამიანი, რომელიც ამ ცხრა წლის განმავლობაში მოქმედებდა მხოლოდ სააკაშვილის და გენპროკურორ ადეიშვილის დირექტივებით. მხოლოდ სიმბოლური ვადით აპატიმრებდნენ ადამიანებს. იუსტიციის სამინისტრომ შესანიშნავი პროექტი შესთავაზა პარლამენტს, ამ პროექტში იყო ძირითადი დებულება, რომ იუსტიციის საბჭო დაკომპლექტებული იყო კოტე კუბლაშვილის მიერ, რომელიც იყო თავმჯდომარე. ყოველგვარი არჩევითობის გარეშე არის ამ პოსტზე, ამავე დროს კუბლაშვილს იუსტიციის საბჭოში რამდენიმე ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია. რიგი თანამდებობის პირები სასამართლო ხელისუფლებაში იკავებენ დიდ პოსტებს იუსტიციის საბჭოში, კოლეგიის თავმჯდომარეები, სასამართლოს თავმჯდომარეები, არასოდეს ჩატარებულა თავისუფალი არჩევნები იუსტიციის საბჭოში. კოტე კუბლაშვილი დაიდებდა ხოლმე სიას, ეს ხალხი უნდა არჩეულიყო იუსტიციის საბჭოში და მოსამართლეთა კონფერენცია ავტომატურად აუწევდა ხელს და ინიშნებოდნენ კუბლაშვილის მიერ შერჩეული წევრები. თუ რომელიმე მოსამართლე არ დაემორჩილებოდა პროკურატურის ან შსს-ს დირექტივებს, მათი საკითხი გადიოდა იუსტიციის საბჭოში და მათ სჯიდა და ათავისუფლებდა მოსამართლეობიდან. იუსტიციის საბჭო იყო სადამსჯელო ორგანიზაცია. ახალი პროექტით ექვსი წევრი უნდა აირჩიოს საზოგადოებამ, დამსახურებული იურისტები, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, მოსამართლეთა კონფერენციაში უნდა ჩატარდეს ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები. ვენეციის კომისიამ ჩვენდა საბედნიეროდ კატეგორიულად თქვა, რომ დღევანდელ დღემდე იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესი იყო ანტიკონსტიტუციური და უნდა შეიცვალოს, დარწმუნებული ვარ, მალე პარლამენტი დაიწყებს ამ კანონში ცვლილების შეტანას, აქამდე მხოლოდ ვენეციის კომისიის დასკვნას ველოდით. ეს დასკვნაც მზად არის.

***— ვენეციის კომისიის როლი როგორია მაშინ, როცა სასამართლოებში დიდი პრობლემებია, პროკურატურაზე კი არის მოსაზრება, რომ მის მიერ წარდგენილი ბრალდებები სუსტია?***

— კარგი იქნებოდა ვენეციის კომისიას ასეთი პრინციპულობა ადრე გამოეჩინა, დიდი ხანია არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებენ ძველ ხელისუფლებას, მაგრამ არც ერთხელ ვენეციის კომისიას არ გადაუდგამს რეალური ნაბიჯი იმისათვის, რომ ნაციონალებისთვის მოეთხოვათ არჩევის ამ მახინჯი წესის შეცვლა. ახლა მადლობის მეტი რა გვეთქმის, როცა ვენეციის კომისიამ აღიარა, რომ ნაციონალების მიერ შემოტანილი არჩევის წესი ანტიდემოკრატიული იყო. რაც შეეხება პროკურატურიდან სუსტი ბრალდებები მოდისო, ამას ვერ დავეთანხმები. ნაციონალები შეგნებულად ქმნიან ასეთ სურათს. დღევანდელი სასამართლო ისევ ნაცმოძრაობის დიქტატის ქვეშ არის. უგულავას ფაქტი ავიღოთ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უზარმაზარი თანხების გაფლანგვას ედავება პროკურატურა. არნახული რამ არის, რომ ბიუჯეტი იხარჯებოდეს ნაცმოძრაობის აქტივისტების შენახვისათვის. პროკურატურამ დადო დოკუმენტაცია და როდესაც ერთი მილიონი ლარის გირაო დააწესეს, გაუსვლელობის ხელწერილის ჩამორთმევის მოთხოვნაც ჰქონდა პროკურატურას, მაგრამ არც ერთი ეს მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. უგულავას ისევ გმირად მიაჩნია თავი, ამ უსინდისო მოსამართლეების გამო ხალხს ექმნება შთაბეჭდილება, რომ პროკურატურა, პოლიცია, საფინანსო სამსახურები ცუდად მუშაობენ. თითქოს ვერ დაუმტკიცეს დანაშაული. მოსამართლეები ნაციონალების კარნახით მოქმედებენ და მასობრივად ეუბნებიან უარს პროკურატურას აღმკვეთ ღონისძიებაზე. სასამართლო უნდა გაიწმინდოს კორუმპირებული მოსამართლეებისგან. უნდა გადამოწმდეს ყველა ბოლოდროინდელი განაჩენი და სადაც დადასტურდება, რომ მიკერძოებული იყო მოსამართლეების დასკვნები, ის მოსამართლეები უნდა გახდნენ პასუხისმგებელნი ამ განაჩენებზე. რამდენიც უნდა იძახონ ნაციონალებმა პოლიტიკური დევნააო, ეს არ არის პოლიტიკური დევნა. ასეთი ადამიანები უნდა იქნენ დათხოვნილი სამსახურებიდან.



***— ეკა ბესელია აცხადებს, რომ მთავარ პროკურატურას უნდა დავეხმაროთ, განთავისუფლდეს ძველი ხელისუფლების კადრებისგან, გამოძიება ფერხდება და არის საბოტაჟის ნიშნებიო. ეს პრობლემა მართლაც არსებობს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— დღეს მთავარ პროკურატურაში ოცი ათასამდე საჩივარია შესული, ამას სჩადიოდნენ ადეიშვილის პროკურორები, დღესაც მუშაობენ პროკურატურის ყველა რგოლში, როცა ადამიანი ჩივის, რომ რომელიღაც რაიონის პროკურორმა ის უსამართლოდ დააპატიმრა და დღეს ამ საქმეს ისევ ის პროკურორი იხილავს, ეს ლოგიკურია? ვეთანხმები ქალბატონ ეკას, რომ როგორც სასამართლოში, ასევე პროკურატურაშიც დარჩენილი არიან ნაციონალების დავალებების შემსრულებელი ადამიანები და ისინი უნდა იქნენ ჩამოცილებული ამ თანამდებობებს. ძველი კადრებიდან უნდა გაიწმინდოს პროკურატურა, სასამართლო და შსს. ეს არ არის პოლიტიკური დევნა, ეს არის კორუმპირებული ადამიანების ჩამოშორება თანამდებობებიდან, სადაც დანაშაულის ნიშნებია, ის ადამიანები უნდა მიეცნენ პასუხისმგებლობაში.

***— არის მოსაზრება, რომ იუსტიციის სამინისტროში უნდა შეიქმნას მოსამართლეების პალატა, რომელიც ძველ საქმეებს შეისწავლის, მაგრამ მოვისმინე სხვა მოსაზრებაც, რომ ეს პალატა თავად უზენაეს სასამართლოში უნდა შეიქმნას, თქვენ ამ მოსაზრებებიდან რომელს უფრო ემხრობით?***

— არ ვემხრობი იმას, რომ იყოს უზენაეს სასამართლოში. კოტე კუბლაშვილი ხომ არ გადახედავს თავისივე კორუმპირებული მოსამართლეების მიერ გამოტანილ განაჩენებს. მაღალი რეპუტაციის ადამიანებისგან უნდა შეიქმნას პალატა, მან უნდა გადასინჯოს ეს გადაწყვეტილებები, ყველა უღირსი მოსამართლე და პროკურორი უნდა იყოს დათხოვნილი თანამდებობიდან. ხალხის ნდობა უნდა იყოს მაღალი ამ პალატის მიმართ. როცა ვმუშაობდი სახალხო დამცველის აპარატში, რამდენჯერმე გადავაგზავნეთ მონაცემები დისციპლინური დევნის შესახებ კონკრეტული მოსამართლეების წინააღმდეგ, მაგრამ არავის მოუხდენია რეაგირება. დახურული უწყება იყო პროკურატურა და თანაც სპეციალურად. იმ უწყების შიგნით არ უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც იმ უწყების თანამშრომლებს ამოწმებს.

## თებერვლის თვეში სახელმწიფო საზღვარი 288 567 ადამიანმა გადმოკვეთა

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოსსახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა თებერვლის სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს, რომლის თანახმადაც, მიმდინარე წლის თებერვლის თვეში, ვიზიტორთა 56%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

ციფრობრივი მაჩვენებლით კი, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი 288 567 ადამიანმა გადმოკვეთა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გაანგარიშების მეთოდოლოგიაში გარკვეული სიახლე იქნა შეტანილი და ვიზიტების რაოდენობა სამ პირობით კატეგორიად დაიყო. ესენია: - ტურისტის, ანუ უცხო ქვეყნის მოქალაქის ვიზიტი, რომელიც კვეთს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და ქვეყანაში რჩება არა ნაკლებ 24 საათისა და არა უმეტეს ერთი წლის ვადით; ტრანზიტი - უცხო ქვეყნის მოქალაქის ვიზიტი, რომელიც კვეთს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და არა უმეტეს 24 საათის განმავლობაში გადის მესამე ქვეყანაში; სხვა - ყველა დანარჩენი კატეგორიის პირის ვიზიტი, რომელთაგანაც ძირითადად მეზობელი სახელმწიფოების საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები სჭარბობენ, რომლებიც სამეწარმეო, სავაჭრო თუ სხვა მიზნით ხშირი პერიოდულობით და 24 საათზე ნაკლები ხანგრძლივობით კვეთენ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

სამინისტროს ინფორმაციითვე, 2013 წლის თებერვალში, საქართველოს ყველაზე მეტი ვიზიტორი თურქეთიდან (+50.2%), აზერბაიჯანიდან (+35.2%), სომხეთიდან (+88.2%), რუსეთიდან(+134%), უკრაინიდან (+58%) და ირანიდან (+50.2%) ჰყავდა.

ნიუსპრესი

## „გენერალთა კლუბი“ ნუგზარ წიკლაურს რჩევას აძლევს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ყება გადააკეთეს თავიანთ პარტიულ გვარდიად და ფუნქციებიც შიდა მიტინგების დარბევებით შემოუფარგლეს

აქედან გამომდინარე, მოვითხოვთ ოფიცრის ღირსებისა და მუნდირის შეურაცხყოფისაგან თავის შეკავებას. საკმაო დრო დაუთმო ქვეყნის მოსახლეობამ ვარდოსანთა უპასუხისმგებლო და არაფრისმომცემი განცხადებებისა და ქმედებების მოსმენასა და ყურებას. ამ დროისთვისაც არ ეშვებიან არაფრის მომცემ დემაგოგიას და ცდილობენ საბოტაჟის რეჟიმში გააგრძელონ მოღვაწეობა.

ქართველი ხალხისგან ახლა უკვე უარყოფილი ნაციონალური მოძრაობა ყველანაირად ცდილობს ჩაკლას ქართველ ხალხში საბრძოლო სულისკვეთება და ამისათვის სამიზნედ ყოველთვის იმ ადამიანებს ირჩევს, რომელთა დამსახურება სამშობლოსა და საკუთარი ხალხის წინაშე ეჭვქვეშ არასდროს მდგარა. სამშობლო ხაჭაპური არაა, მარტო ყველი გამოჭამო და ცომი გადააგდო. სამშობლოს მსახურებას ღირსება და მამაცობა სჭირდება ისეთი ადამიანებისა, როგორიც დავით თევზაძეა და არა თბილი სავარძლებიდან ბოლშევიკური აზროვნების მქონე პირების მიერ ნოტაციების კითხვა საკუთარი ხალხისთვის „ვინც ჩვენთან არ არის, ყველა ჩვენი მტერია“.

ყველა იმ პირს, რომელიც სამშობლოს ჯარისკაცებზე რაიმე უარყოფითის თქმას აპირებს, მოვუწოდებთ, გაითავისოს რას ამბობს და სხვის თვალში ბეწვის ძიებას, სჯობია საკუთარი თვალიდან დირე გამოიღოს, — ნათქვამია საქართველოს გენერალთა კლუბის განცხადებაში.

## ვანო მერაბიშვილი: „19 აპრილს ყველას ვაჩვენებთ ჩვენს ძალას“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

თიერთსასარგებლო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების და ბიზნესშესაძლებლობების რეალიზაციის სივრცე;

15. ტრანსნაციონალური პროექტებისათვის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება შავი და კასპიის ზღვების აუზების, ახლო აღმოსავლეთის და აზიის ქვეყნებთან;

16. საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს ბალტიის ქვეყნებთან. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების გამოცდილება და მხარდაჭერა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში;

17. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე, სკანდინავიის სახელმწიფოებთან, მათ მიერ საქართველოში მიმდინარე რეფორმების და ქვეყნის სუვერენიტეტის მხარდაჭერა;

18. საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმყოფებოდეს სამხედრო-პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. საქართველო გაატარებს თანამიმდევრულ საგარეო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საერთაშორისო პატივისცემის ურყეობა;

19. ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოების განმტკიცების ინტერესიდან გამომდინარე, აგრეთვე, სამშვიდობო პროცესის განვითარების და „არაღიარების პოლიტიკის“ შეუქცევადობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველო მნიშვნელოვნად გააღრმავებს მრავალმხრივ დიპლომატიურ ურთიერთობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, ევროკომისიის, სუამის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფორმატებში“.

## განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო სპირტიანი სასმელის რეალიზაციის ფაქტზე სამი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო საქონლის რეალიზაციის ბრალდებით, 1976 წელს დაბადებული ანგელინა გ, 1956 წელს დაბადებული ალექსანდრე ი. და 1964 წელს დაბადებული გიორგი ა. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ანგელინა გ-ს დის კუთვნილი საცავიდან სარეალიზაციოდ გამზადებული, 70 ათას ბოთლზე მეტი, სხვადასხვა დასახელების უაქციზო სპირტიანი სასმელი ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 200-ე მუხლის (მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება-შენახვა-რეალიზაცია-გადაზიდვა) მე–2 და მე–3 ნაწილით მიმდინარეობს

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა უმრავლესობა მიხეილ სააკაშვილის განცხადების სისწორეს არ ეთანხმება

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ მიმდინარე წლის 4 მარტიდან 11 მარტამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, მედიაზე არსებულ ზეწოლასთან დაკავშირებით - არ ეთანხმება.

კითხვაზე - „ეთანხმებით თუ არა მიხეილ სააკაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ დღეს მედია სახელისუფლებო ზეწოლის ქვეშაა“, გამოკითხვაში მონაწილეთა 61,5 პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა, 30,8 პროცენტი კი საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს.

ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხვაში მონაწილეთა 7,7 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

# მამუკა კაციტაძე: „არჩევნები ოლიმპიადა არ არის“

შორენა გონგლაძე

„წინა ხელისუფლების დროს ახალ მემარჯვენეებს ყოველთვის გვქონდა შენიშვნები და პრეტენზიები დემოკრატიულობასთან დაკავშირებით. აპრილში დანიშნულ არჩევნებზე ახალ ხელისუფლებას დემოკრატიულობის პირველი ტესტის ჩაბარება მოუწევს. — ეს განცხადება „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ გუშინ, პრაიმტაიმის პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მამუკა კაციტაძის განცხადებით, იმისათვის, რომ ქვეყანაში კონკურენტული და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს, პოლიტიკური ლანდშაფტი უნდა გაფართოვდეს, ოპოზიციური პარტიებისთვის ხელისუფლებამ შესაბამისი გარემო თავად უნდა შექმნას.



-- არჩევნების შემდგომ, როგორც წესი, დიდი ინტერესი აღარ არის ხოლმე არასაპარლამენტო პარტიების მიმართ. ამაში შესაძლოა ჩვენც ვცოდავდეთ არა მარტო არჩევნებში მიღებული ჩვენი შედეგებით, არამედ შემდგომი აქტივობითაც. შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გეტყვით იმას, რომ ახალი მემარჯვენეები ყოველთვის ვიყავით ყველაზე მეტად აქტიურები და ყველაზე მეტად ვითხოვდით იმას, რომ შეიქმნას ყველანაირი პირობა ქვეყანაში მრავალპარტიულობის უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, შანსი, რომელიც ჩნდება, თუ, რა თქმა უნდა, არსებობს ასეთი, რათა მრავალპარტიულობა იქნეს წარმოდგენილი და პოლიტიკური ლანდშაფტი კიდევ უფრო გაფართოვდეს, სწორედ ამიტომ, დათქმულ ვადებში ჩვენ შევიტანეთ განაცხადი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ. წინა ხელისუფლების პირობებში არაერთ არჩევნებთან დაკავშირებით მაშინდელ ოპოზიციას ყოველთვის გვქონდა სამართლიანი პრეტენზია, რომ საარჩევნო გარემო არ იყო დემოკრატიული და კონკურენტუნარიანი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთგვარი ტესტივით შეიძლება დავინახოთ 27 აპრილის არჩევნები ამ თვალსაზრისით, კონკურენტუნარიანობისა და დემოკრატიულობის თვალსაზრისით შემოგვთავაზებს ახალი ხელისუფლება. — აცხადებს კაციტაძე და იმ ახალ ინიციატივაზე საუბრობს, რომელიც, მისი თქმით, დადებით იმპულსს შეიტანს 27 აპრილის არჩევნებში.

— არსებობს ორი კონკრეტული მიდგომა, რასთან დაკავშირებითაც მე ვისაუბრე პარლამენტში ინტერფრაქციული ჯგუფის შეხვედრაზე, ეს იყო არა მოთხოვნა, არამედ შეთავაზება, რადგანაც რაც არ უნდა მოითხოვო, აზრი არ აქვს. ეს იყო შეთავაზება, რომელიც დადებით იმპულსს შეიტანდა 27 აპრილის შუალედური არჩევნებთან მიმართებაში. ამიტომ თუ ხელისუფლების მხრიდან იქნა ასეთი ტიპის ნაბიჯები ან თუნდაც გაკეთდა პოლიტიკური განაცხადი, მაშინ ბუნებრივია არჩევნებში მონაწილეობის მეტი მოტივაცია ჩნდება და ბუნებრივია კანდიდატების წარდგენაც იმ დათქმულ ვადებში განხორციელდება ჩვენი მხრიდან. მაგრამ თუ ეს დღე ისევ დაემსგავსა ორთა შორის ჭიდილს და ამაში პოზიტიური იმპულსები არ გააჩინა ხელისუფლებამ, ბუნებრივია, 27 აპრილი დაემსგავსება ოლიმპიადას, სადაც მთავარია მონაწილეობა, ჩვენ არჩევნებს არ ვუყურებთ როგორც ოლიმპიადას. ხოლო თუ ვის შეიძლება ამ სამ ოლქში მოვიაზრებდეთ, ეს დავიტოვოთ საიდუმლოდ და გპირდებით, რომ კანდიდატურის შესახებ ინფორმაციას თავის დროზე მოგაწვდით, — აცხადებს კაციტაძე. რაც შეეხება ვენეციის კომისიის დასკვნას, ამ საკითხზე კომენტირებისას კაციტაძე აცხადებს, რომ კომისიის დასკვნის გათვალისწინება ორივე მხარეს მოუწევს. თუმცა ორივე მხარე აცხადებს, რომ ვენეციის კომისიამ მათთვის სასურველი დასკვნა დადო.

— დღეს როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია აცხადებს, რომ მათთვის სასურველი დასკვნა დადო. მმართველი კოალიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ვენეციის კომისიამ მათი პროექტი მოიწონა. ორივე მხარეს მოუწევს ამ რეკომენდაციების გათვალისწინება. ფაქტია, რომ წინა ხელისუფლების პირობებში მეტწილად იყო პრობლემები სასამართლო ხელისუფლებაში, თუმცა აჯობებს, საბოლოო დასკვნა როდესაც დაიდება, ვის რას სთხოვს ვენეციის კომისია, ამ თვალსაზრისით იქნეს ყველაფერი განხილული. — აცხადებს კაციტაძე.

# ვინ მიხედავს ბანკის მევალეებს

## მხეცაძეების ოჯახი დახმარებისთვის ხელისუფლებას მიმართავს

შორენა გონგლაძე

ბანკის მევალეების თემა საქართველოში მწვავედ დგას. არჩევნების წინ „ქართულმა ოცნებამ“ ამ პრობლემის მოგვარების პირობა დადო. ხალხს იმედი გაუჩნდა, რომ ეს პრობლემა მოგვარდებოდა, რაც ასეთი მარტივი სულაც არ აღმოჩნდა. ბანკები მევალეებს ისევ ართმევენ ბინებს. ხალხი დახმარებას ახალი ხელისუფლებისგან ითხოვს.

რამდენიმე მოქალაქემ თავის დაწვაც კი სცადა. კინაღამ ტრაგედიით დასრულდა გამოსახლების მცდელობა დემურ მხეცაძის ოჯახში.

2008 წლის აპრილში დემურ მხეცაძემ რესპუბლიკა ბანკიდან გამოიტანა სესხი ბიზნესგეგმის წარდგენით, სადაც მითითებული იყო რუსეთთან ერთობლივი თანამშრომლობა ქლორის ბიზნესზე და პარალელურად სახლის მშენებლობის დამთავრებაზე 100000 ამერიკული დოლარი. ქლორით ამარაგებდა თბილწყალკანალ ტრესტს, სადაც მუშაობდა წლების განმავლობაში და იქიდან უმიზეზოდ იყო განთავისუფლებული მიუხედავად დიდი დამსახურებისა. ეს ცალკე თემაა... მერე დაიწყო ომი და რამდენიმე წელი იხდიდა პროცენტს დანაზოგით, ვალებით და ა .შ. როცა ყველა სახსარი ამოიწურა, ვეღარ შეძლო გადახდა და დაიწყო ბანკიდან ზეწოლა.

საკითხავია, ომი არის თუ არა ფორსმაჟორი და სახელმწიფო ვალდებულია თუ არა ასეთ სიტუაციაში რაღაც გარკვეული ზომები მიიღოს..? როცა მსოფლიო ბანკმა მთელი ვალები ჩამოაწერა საქართველოს ბანკებს და ესენი კი ახრჩობენ ხალხს.

მხეცაძეების ოჯახში არის 3 ბავშვი, აქედან ერთი წლის და ექვსი თვისაა, ოჯახი არის 10-სულიანი.

— რა გავაკეთოთ, დავიწვათ თავი, ჩვენ გადავისხათ ბენზინი? — კითხულობენ ოჯახის წევრები.

როგორც ოჯახის წარმომადგენლები ამბობენ, ბანკმა ბინა გაიტანა აუქციონზე და შემდეგ თვითონ შეისყიდა. რამდენიმე დღის წინ მოვიდნენ ბანკის წარმომადგენლები და აღმასრულებელი და ბინას ლუქავდნენ. რომ არა დემურ მხეცაძის მეუღლის სტენოკარდიული გულის შეტევა, გამოსახლებული იქნებოდა ოჯახი.

მხეცაძეებს გამოსავალი არა აქვთ. ისინი ვალის პატიებას არ ითხოვენ. მათ მხოლოდ ერთი თხოვნა აქვთ ხელისუფლებასთან:

— რამე გვიშველონ, გადავადებას ვითხოვთ, სხვას არაფერს. გავყიდით და გადავიხდით. აქამდეც ვყიდდით, მაგრამ არ გაიყიდა, — აცხადებენ მხეცაძეები.

მსგავს სიტუაციაში საქართველოში ასეულობით ათასი ოჯახია. გასაგებია, რომ მათი პრობლემის მოგვარება იოლი არ არის, მაგრამ ხელისუფლებამ ხომ უნდა გააკეთოს რაღაც. ეს ადამიანები მხოლოდ გადავადებას ითხოვენ.

# ნოდარ ნათაძე: „რუსები პუტინს ჩამოახრჩობენ“

გულიკო ბალაძე

ქვეყნის ისტორიაში არის ისეთი მოვლენები, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი და გაანალიზებას, გააზრებას საჭიროებს. ასეთ მოვლენებს შორისაა 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიაც, რომელიც მოაწყვეს თბილისში საბჭოთა იმპერიის მესვეურებმა ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით.

1956 წლის 9 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე ხრუშჩოვმა სტალინი კულტად გამოაცხადა, რასაც სტალინის მავზოლეუმიდან მისი გამოსვენება, კრემლის კედელთან დამარხვა და მისი მოღვაწეობის დაგმობა მოჰყვა.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე 9 მარტის მოვლენების მონაწილეა და ამ ტრაგედიას ბროშურა მიუძღვნა, სადაც გააანალიზა და შეაფასა მომხდარი.

— ეს იყო, უბრალოდ, ხრუშჩოვის ინსტინქტებზე დამყარებული საზიზღარი შურისძიება. ბოლო დღეებში უკვე ხდებოდა პროვოცირება, რომ ხალხი ყოფილიყო მეტი და არავინ წასულიყო. ხრუშჩოვმა გამოიყენა რუსი ხალხის ბნელი ინსტინქტები ქართველების წინააღმდეგ მიმართული. საერთოდ, საბჭოთა კავშირის დროს ისეთი იდეოლოგია ჰქონდათ, თითქოს საქართველოში კოლმეურნეობა არ იყო და, საერთოდ, ბედნიერი ცხოვრება სუფევდა, — განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

***— ბატონო ნოდარ, 9 მარტის მოვლენები იმპერიული, სადამსჯელო აქცია არ იყო?***

— ხრუშჩოვის მხრიდან ეს იყო პრიმიტიული, ცხოველური შურისძიება.

***— თუმცა, რამდენადაც ვიცი, 9 მარტის მოვლენების შემდეგ ხრუშჩოვს რეპრესიები აღარ გაუგრძელებია ისე მასშტაბურად, როგორც ეს სტალინის დროს ხდებოდა.***

— არა, ჩაფარცხვა არჩიეს. 9 მარტს რუსების მოქმედებაში საინტერესო არაფერია.

***— ქართველებმა თუ გაიაზრეს? საინტერესოა იმის გაანალიზება, ზოგადად, იმპერიების პირობებში ქართველები როგორ მოქმედებდნენ?***

— გეტყვით. სტალინი მოკვდა 1953 წელს. შემდეგ დაიწყო ქართველების დემონსტრაციული შევიწროება ჯარში, სავაჭრო ადგილებში და ყველგან. დაიწყო ინსტინქტური შევიწროვება ქართველებისა რუსების მიერ მთელ საბჭოთა კავშირში.

***— ისე, რა უნდოდათ სტალინს და ბერიას რუსეთში, მოსკოვში, ვერ გაჩერდნენ საქართველოში და ვერ მოუარეს თავის ქვეყანას? რატომ ხდება, რომ ყოველთვის ქართველები იმპერიების სამსახურში, სხვებისთვის უფრო მეტს აკეთებენ, ვიდრე თავისი ქვეყნისთვის?***

— სანამ სტალინი ცოცხალი იყო, რუსები მხოლოდ იმ ფაქტს ხედავდნენ, რომ ქართველი მართავდა რუსეთს. როცა სტალინი მოკვდა და გავიდა რამდენიმე წელი, გაიაზრეს, რომ მათ უნდოდათ ისეთი მმართველი, რომელიც მკაცრ პოლიტიკას გაატარებდა, ანუ უნდოდათ უცხოელი დიქტატორი, რომელსაც ყოველ წელიწადს რაღაც გამარჯვებები მოაქვს. სტალინი კორეაში რომ დამარცხდა, ის მათ არ შეუმჩნევიათ, გარდა ერთისა.

***— სხვების იმპერიული ზრახვები ჩვენი ქვეყნის მიმართ გასაგებია, მაგრამ თვითონ ქართველები საქართველოს წინააღმდეგ რატომ მოქმედებდნენ. თან ისე აშკარად და ღიად, როგორც ეს, ვთქვათ, ორჯონიკიძემ გააკეთა, როცა რუსეთის ჯარს შემოუძღვა საქართველოში? რატომ ხდება, რომ ზოგიერთი ქართველი თავის ქვეყანას არ უვლის, მტრობს, ხოლო იმპერიის სამსახურში მეტს აკეთებს?***

— იმიტომ, რომ სხვისი ქვეყნის სამსახურში გაწეული შრომა და სისხლი უფრო ფასდება, რადგან სხვა ქვეყანა უფრო ძლიერია. საქართველო თავისი შვილების ღვაწლს ვერ აფასებს, ღარიბია, სუსტია და არ აქვს ის ჯილდო, რომელიც უნდა გადაუხადოს თავის შვილებს.

***— რით დაუფასეს სტალინსა და ბერიას იმპერიის შექმნა და მტრის სამსახური?***

— პირადი მდგომარეობა შეუქმნეს, გმირობა მიანიჭეს, ვთქვათ, რაღაც შეღავათი მისცეს. ბინა მისცეს და ა.შ. რუსეთი, საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ომებში გაწეულ ღვაწლს, ასე თუ ისე, აფასებდა.

***— ორჯონიკიძეს, რომელიც შემოუძღვა ჯარს, რაში დაუფასეს?***

— ორჯონიკიძეს სამსახური ძალიან დაუფასეს. ორჯონიკიძე საბჭოთა კავშირში მძიმე მრეწველობის კომისარი იყო, ძალიან დიდი თანამდებობა ეკავა. ორჯონიკიძეს ბერიამ წააცალა თავი — თავი მოაკვლევინა, პირადი ანგარიშის საფუძველზე. სტალინს ერთი ქართველი ჰყავდა და მეორეს არ გაიკარებდა ოლიმპზე. ამან ის მოიტანა, რომ ბერია თვითონ დაჯდა ორჯონიკიძის მაგივრად.

***— 9 მარტს ქართველების მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა გაცნობიერებული იყო?***

— დიახ. ამას თავისი ისტორია აქვს. სასტიკი და ულმობელი ზეწოლის გამო, ჯავრი და ბოღმა რომ დაგროვდა, სტალინის სიკვდილის მეორე წელს, ხალხი სტალინის ძეგლთან ცალცალკე მოვიდა (არავის არავისთან მოულაპარაკია) და მოიტანეს ყვავილები. აღმოჩნდა, რომ ბევრი ხალხი მოვიდა. ისინი ერთმანეთს უყურებდნენ და უხმოდ ეკითხებოდნენ, ხედავთ, რამდენი ვართ, ხედავთ? ეს მოხდა 1954 წელს. 1955 წელს ეს ახსოვდათ. ამიტომ მოვიდა ათჯერ მეტი ხალხი. ეს უკვე გაცნობიერებული იყო, როგორც პროტესტის ფორმა — ბევრნი მოვალთ და ვნახოთ! მოვიდა ბევრი ხალხი. ამასობაში ბოღმა მეტი დაგროვდა. 1956 წელს ხალხი შეგნებულად მოვიდა, რომ ძლიერი პროტესტი განეცხადებინათ. ეს ძლიერი პროტესტი დახვრიტა რუსეთმა.

***— სტალინი რომ მოკვდა, ხალხი ტიროდაო.***

— არა, საქართველოში არავინ ტიროდა. მაშინ 26 წლის ვიყავი და ძალიან კარგად მახსოვს, რომ არავინ ტიროდა. საქართველოს სტალინი სძულდა. გარდა პარტმუშაკებისა და ისეთი ბნელი ოჯახებისა, რომლებსაც ისტორიის არაფერი გაეგებოდათ, ყველას სძულდა. გლეხებს სტალინი სძულდათ კოლმეურნეობის გამო.

***— ახლა ზოგიერთები სტალინის ძეგლებს რომ დგამენ?***

— დღეს ზოგიერთები სტალინის ძეგლს კი არ დგამენ, არამედ იმ კაცის ძეგლს დგამენ, ვის გამოც სისხლი დაიღვარა 1956 წელს, ვის გამოც საქართველო დაუპირისპირდა რუსეთს.

***— 9 მარტის მოვლენები სათანადოდ ვერ დაფასდა? ამას იმიტომ გეკითხებით, იქ, სადაც ის მოვლენები ვითარდებოდა, წარწერაა, რომ იქ დაიდგმება 9 მარტს დაღუპულ ქართველთა მემორიალი, მაგრამ დღემდე ეს არ გაკეთდა.***

— ეს მემორიალი, რასაკვირველია, დაიდგმება. დღემდე არ დაიდგა იმიტომ, რომ დღემდე საქართველოს წითლები მართავენ.

***— თუ სათანადოდ არ შეფასდა?***

— ვის მიერ არ შეფასდა? მე პირადად დავწერე პატარა მოგონება, პატარა ბროშურა და გავაკეთე ანალიზი. ის ანალიზი ადეკვატურია. სხვებმაც დაწერეს, რომელიც ასევე ადეკვატური შეფასებაა. ერთმა (ნოზაძემ) დაწერა სხვანაირად. ნოზაძემ დიდი წიგნი დაბეჭდა მას შემდეგ, რაც მე პატარა ბროშურა დავბეჭდე. მან სხვანაირად დაწერა. მე ობიექტურად დავწერე.



***— თუმცა, ფაქტია, რომ ის მოვლენები ტრაგედიაა საქართველოსთვის.***

— რა თქმა უნდა, 500-დან 1200 კაცამდე დაიღუპა, ცოტაა.

***— არა, ცოტა ნამდვილად არ არის. მთავარია, ერი როგორ გაიაზრებს თავის ისტორიას.***

— ისე გაიაზრებს, როგორც არის. მე მგონი, ჩემს ბროშურაში ისეა შეფასებული, როგორც სინამდვილეშია.

***— კერძოდ, როგორაა გაანალიზებული თქვენს ბროშურაში 9 მარტის მოვლენები?***

— ეს იყო ქართველი ერის თავისუფლების მოყვარეობის და რუსეთისაგან გათავისუფლების გრძნობის გამოვლინება. ეს იყო პატრიოტული და ვაჟკაცური გამოსვლა. ზოგიერთები, ვინც ბროშურები გააკეთა, საქმის კურსში არ იყვნენ, სტალინი ვინ და რა იყო საქართველოსთვის. რუსები სიამოვნებით ისროდნენ.

***— საბჭოთა დროს ე.წ. ვასმოი პოლკს იყენებდნენ, რომელიც უპატრონო ბავშვთა სახლებში გაზრდილი ახალგაზრდებით იყო შედგენილი.***

— არა, მხოლოდ ისინი არ იყვნენ. სხვადასხვა ნაწილები მონაწილეობდნენ, რომელთაგან ზოგი გზებს კეტავდა და ზოგი სიტუაციას არეგულირებდა. ისინი განუსაზღვრელი რაოდენობით იყვნენ. ისინიც ისევე იყვნენ განწყობილები, როგორც მსროლელები. ყველაფერი ჩემი საკუთარი თვალით მაქვს ნანახი.

***— სტალინმა როგორც საქართველოს, ასევე რუსეთს საშინელი რეპრესიები დაატეხა თავს. გარკვეული სიძულვილი რომ იქნებოდა, ცხადია.***

— 10 მარტს რომ გაეცოცხლებინათ და ისევ თავის თანამდებობაზე დაესვათ, სტალინი საქართველოს სამ მეოთხედს დახვრეტდა ამ გამოსვლის პასუხად. ხრუშჩოვმა რომ ვერ დახვრიტა, ეს მისი სისუსტე იყო. მას ძალიან უნდოდა, მაგრამ ვერ დახვრიტა.

***— შეიძლება დადებითი მხარეც იყო, ისეთი მასობრივი ხოცვა-ჟლეტა რომ არ გააგრძელა?***

— რუსეთს მასობრივი დახვრეტების გაგრძელება აღარ შეეძლო. სტალინი რატომ მოკლეს რუსებმა? იმიტომ მოკლეს, რომ სტალინი დამარცხდა კორეის ომში. რუსეთს სჭირდებოდა უკან დახევა. სტალინი უკან დამხევი არ იყო. მოკლეს სტალინი და იმ კვირაშივე დაიწყეს უკან დახევა. ე.წ. დათბობის პოლიტიკა ამის შემდეგ შემოიღეს. ახლა, ანალოგიურად, რუსები პუტინს ჩამოახრჩობენ, რადგან პუტინი დამარცხებული დიქტატორია და მას ჩამოახრჩობენ. ამიტომ რუსები ნემსის ყუნწში ძვრებიან, რომ საქართველო აიძულონ, აფხაზეთი და ცხინვალი აღიაროს. ამიტომაა, რომ ყველაფერს აკეთებენ ამისთვის, მაგრამ ამას ვერ მიაღწევენ.

# საქართველოში ფრანკოფონიის თვე იწყება

ეკა ირემაშვილი

**საქართველოში ფრანკოფონიის თვე იწყება. 2013 წლის მარტი მთლიანად ფრანგულ კულტურასა და ხელოვნებას დაეთმობა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებს მოიცავს. ფრანკოფონიის ორგანიზატორია საფრანგეთის საელჩო საქართველოში, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი და შვეიცარიის კონფედერაციის საელჩო.**

როგორც ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენელი მარიამ კვესელავა განმარტავს, ეს ორგანიზაციები მთელი მარტის თვის განმავლობაში ფრანგული ენისა და ფრანკოფონიის დღესასწაულს აღნიშნავენ საქართველოს სასკოლო და საუნივერსიტეტო დაწესებულებებთან ერთად.

– ფრანკოფონიის თვის პროგრამაშია მრავალფეროვანი კულტურული, ლიტერატურული,

კინემატოგრაფიული, მუსიკალური და საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომლებიც განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს ფრანგული ენისა და ფრანგულენოვან კულტურათა აღმოჩენა თუ უკეთ გაცნობა. ფრანკოფონია 2013 წლის ფარგლებში გაიმართება კონკურსები მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის. გამარჯვებულებისთვის დაწესებულია მრავალფეროვანი პრიზები. ფრანკოფონიის თვის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებულ პრესკონფერენციას 12 მარტს გამართავენ საფრანგეთის ელჩი საქართველოში რენო სალენსი, შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს მრჩეველი

საქართველოში ფლორიან გუბლერი და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი ჟილ კარასო, – აცხადებს მარიამ კვესელავა.

როგორც ფრანკოფონიის წლევანდელ პროგრამაშია აღნიშნული, ფრანკოფონიის თვის პროგრამა არა მარტო თბილისს, არამედ მთელ საქართველოს მოიცავს. კულტურული ღონისძიებები ჩატარდება როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში, თელავსა და ბათუმში. ფრანკოფონიის თვის პროგრამაში ჩართულები არიან ილიას სახელწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილ კონკურსებს კი თელავი უმასპინძლებს, სადაც კახეთის სასკოლო ფრანგულენოვანი კონკურ-




სი ჩატარდება.

ფრანკოფონიის თვე 14 მარტს გაიხსნება და ერთი თვის განმავლობაში სხვადასხვა დაწესებულებებში სხვადასხვა პროგრამებს წარმოადგენს. ილიას სახელწიფო უნივერსიტეტში წარმოდგენილი იქნება ლიტერატურის პროფესორის ჟაკ გოდიეს საჯარო ლექცია თემაზე „თანამედროვე ფრანგულენოვანი პოეზია“, მომდევნო დღეს ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები ჩაატარებენ კონფერენციას „მოგზაურობა ფრანკოფონიულ სამყაროში“. 26 მარტს ილიას უნივერსიტეტში გაიმართება ფრანკოფონიული სიახლეების პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციის „ევროპა და კავკასია. რეგიონთაშორისი ურთიერთობები და იდენტობის პროგრამა“ – ფრანგულ ენაზე გამოცემული მასალების კრებული; ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიული რეგიონული სადოქტორო კოლეჯი და მისი ვებ გვერდი; ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიული ფესტივალი „ფრანკოფონია გვაერთიანებს“. 27 მარტს ილიას უნივერსიტეტში ღონისძიებები დასრულდება კულტურათა დიალოგით თემაზე „საქართველოს და ფრანკოფონიული ქვეყნები და რეგიონები“. დიალოგში ჩართულია ლანგედოკ რუსიონი, ბურგუნდია (პატარძეულის ფრანგულ-ქართული სკოლა ლიცეუმი), ალხზასი, კანადა, რუმინეთი (ილიას უნივერსიტეტის სტუდენები).

თსუ-ში ფრანკოფონიის თვის აღნიშვნა 22 მარტიდან დაიწყება. ჩატარდება ლიტერატურული საღამო და მასში მონაწილეობას მიიღებენ თსუ-ის, სამხატვრო აკადემიისა და კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები. ლიტერატურული საღამოს სახელწოდებაა „ფიქრმორეული ქალაქები“. 26 მარტს წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „მეტროს საყვარლები“ (ნაწყვეტები), რომელსაც ჟან ტარდიეს მიხედვით გაითამაშებენ თსუ-ის ფრანგული ფილოლოგიის სტუდენტები და ლიტერატურის პროფესორი ჟაკ გოდიე. 29 მარტს თსუ-ში გაიხსნება სალომე სულაძის ნამუშევრების გამოფენა „ფრანგული მუსიკითა და პოეზიით შთაგონებული ქართული მხატვრობა“. ამავე საღამოზე ექვთიმე თაყაიშვილის სტიპენდიანტებს დააჯილდოებს საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს პრეზიდენტი ოთარ ზურაბიშვილი.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი 15 მარტს უმასპინძლებს კონფრენეციას „ფრანგული – ერთ-ერთი საერთაშორისო ენა“ და კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს.

16 მარტს ფრანკოფონია ქუთაისში გადაინაცვლებს, სადაც აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდება ფრანგული ენის სასკოლო რეგიონული კონკურსი, ასევე მოეწყობა სტუდენტთა და პროფესორ მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია „ფრანგული ენა და კულტურა“, პრეზენტაცია პროექტისა „ბონჟურ დუ მონდე“. 22 მარტს ინტერკლუბში წარმოდგენილი იქნება რეჟისორების ერიკ ტოლედანოს და ოლივიე ნაკაშის ფილმი „ხელშეუხებელნი“ ფრანგულ ენაზე. ფრანკოფონიის დღეების დახურვა გაიმართება 23 მარტს, სადაც დაჯილდოვდებიან სასკოლო რეგიონული კონკურსის გამარჯვებულები, ხოლო ქუთაისის 25-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები სპეციალურ ღონისძიებას წარმოადგენენ.

თელავში ასოციაცია იონ კახეთი 30 და 31 მარტს თელავის უნივერსიტეტში გამართავს კახეთის სასკოლო ფრანგულენოვან კონკურსს.

ფრანგული ინსტიტუტი ფრანკოფონიის თვეში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით ჩაერთვება. 21 მარტს კაფეში „დისქავერი“ გაიხსნება ანა ბეჟაშვილის ფოტოების გამოფენა „პარიზი-ტფილისი: მოგონებები“, 11 აპრილს „ტარტინ მეიდანში“ შედგება ქალაქ რენის „ქარის სახელოსნოების“ დასის პოეტური წარმოდგენა „აპეროეზია“, 22 მარტს თეატრი ათონელზე უმასპინძლებს სპექტაკლს „სხეულის ენა, რომელიც ქართულ-ფრანგული წარმოდგენაა და მისი რეჟისორი ჯამელ მამუდია. წიგნის სამყაროს მოყვარულებს ფრანკოფონიის თვის ეგიდით საშუალება ექნებათ მთელი მარტის თვის განმავლობაში ლიტერატურის მუზეუმში დაგეგმილ სხვადასხვა პროგრამებში ჩაერთონ. მუზეუმში მოეწყობა ილუსტრირებული წიგნების გამოფენა „ფრანგულად მსოფლიოს გარშემო“, მოეწყობა თებერვლის რჩეული წიგნის განხილვა დისკუსიაში „მკითხველთა რჩეული წიგნი“, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ჩაატარებენ ბლეზ სანდრარის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოს, 19 მარტს კი ჟაკ გამბლენის ნაწარმოებს წაიკითხავს ვენსან ლე რუა.

კინომოყვარულები შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიკრიბებიან, სადაც პროგრამით „კინოხელოვნება – ფრანგული ინსტიტუტის კინოკლუბი“ 13 მარტს ნაჩვენები იქნება რეჟისორ იუსეფ შაჰინის ფილმი „ბედისწერა“ ფრანგულ და არაბულ ენებზე და 27 მარტს ბელგიელი რეჟისორის მიშა ვალდის ფილმი „ცხენის ქურდები“.

ფრანკოფონიის თვეში საკუთარ პროგრამას წარადგენს შვეიცარიის საელჩო. თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის კინოთეატრებში წარმოდგენილი იქნება ფილმი „ბავშვი მაღლიდან“ (რეჟისორი ურსულა მეიერი). 20 მარტს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიმართება ფრანკოფონია 2013-ის კონკურსების გამარჯვებულთა დაჯილდოება და ფრანგული ენის გამორჩეული მასწავლებლის დასახელება.

მარი ბროსეს სკოლა ფრანკოფონიაზე წარმოადგენს პოეზიის საღამოს, სასარგებლო რჩევებს და სკოლის 15 წლის იუბილესაც აღნიშნავს.

სენტ ეგზიუპერის სკოლა გაითამაშებს პოეტურ პერფორმანსს „სიყვარულის ისტორია – ჟოზეფინ დე ბოარნე“, ჩააატრებს ინტერკულტურულ კონკურსს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი 850 წლისაა“, ხოლო საქართველოს ფრანგული ენის მასწავლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი იზა ჯინჯიხაძე წარმოადგენს ინტერკულტურულ მიდგომას ენების სწავლებაში.

ფრანკოფონიის ერთთვიან მარათონში ჩაერთვება კავკასიის ფრანგული სკოლა. მოეწყობა კინოჩვენებები როგორც ახალგაზრდებისთვის, ასევე ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის 15 წლიდან ნაჩვენები იქნება ფილმი „ხელშეუხებელნი“, ხოლო ბავშვებისთვის ანიმაციური ფილმი „კირიკუ“.

ბათუმში ჩატარდება რეგიონული ფრანგულენოვანი კონკურსი, ასევე მოეწყობა სპეციალური პროგრამის პრეზენტაცია, ფრანგული ფილმების ჩვენება და 22 მარტს რეგიონული ფრანგულენოვანი კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოებით ფრანკოფონია 2013 საზეიმოდ დაიხურება.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599978546.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ძალოვანთა ჯახი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიგო

**შსს – არმია 77:62**

ტურის ცენტრალურ მატჩში ბოლო დროის ერთმანეთისთვის ყველაზე პრინციპული მეტოქეები – შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროთა გუნდები შეხვდნენ.

მატჩი საინტერესოდ დაიწყო, მაგრამ მეორე ნახევარში გიორგოს კეცელიდისის გუნდმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც.

თავიდან კოტე ტუღუშის გაწვრთნილი გუნდი დაწინაურდა, მაგრამ მეტოქე გუნდურად ათამაშდა და პირველი მეოთხედის ბოლოს წინ გავიდა – 15:14.

მეორე პერიოდმა თანაბრად ჩაიარა. მეტოქის შორეულ სროლებს არმიელებმა სწრაფი გარღვევები დაუპირისპირეს. ძირითადად ლაშა გამყრელიძე აქტიურობდა, რომელსაც პირველი ტაიმის შემდეგ 15 ქულა ჰქონდა. სწორედ მისი შედეგიანობის წყალობით „არმიამ“ დიდი შესვენებისთვის ანგარიში გაათანაბრა – 33:33.

მესამე პერიოდიდან „შსს-აკადემიამ“ უპირატესობა საბოლოოდ მოიპოვა. კირკ არჩიბეკს და დეონტა ვონს ფეხი მერაბ ბოქოლიშვილმა და ბენჯამინ რეიმონდმაც აუწყვეს. შედეგად აკადემიელებმა მესამე პერიოდი 7 ქულით მოიგეს, ხოლო მეოთხე ათწუთეულში კეცელიდისის გუნდის უპირატესობამ 15 ქულას მიაღწია. თამაში ისე ჩამთავრდა, რომ „არმიას“ წარმატების შანსი არ მისცემია.

„შსს-აკადემიაში“ საუკეთესო შედეგი კირკ არჩიბეკმა აჩვენა – 21 ქულა და 16 მოხსნა. 20 ქულა მიითვალა დეონტა ვონმა, ხოლო მერაბ ბოქოლიშვილმა და ბენჯამინ რეიმონდმა შეხვედრა 11-11 ქულით დაასრულეს. არმიელთაგან 18 ქულა და 7 პასი ჰქონდა გამყრელიძეს, ზვიად ბაბიაშვილმა 12 ქულა მოაგროვა, ხოლო ლაშა ფარღალავამ – 10.

### მატჩის შემდეგ

***გეორგის კესელიდისი (შსს აკადემია):***

– ძალიან გახარებული ვარ ამ გამარჯვებით. ჩემთვის გამორჩეულად სასიამოვნოა „არმიის“ წინააღმდეგ თამაში, რადგან ეს გუნდი ნამდვილ კალათბურთს თამაშობს და კიდევ უფრო მიხარია, როცა ამ ბრძოლაში ვიმარჯვებ. „არმიას“ ძალიან კარგი მწვრთნელი და მოთამაშეები ჰყავს და მათ დიდ პატივს ვცემ. დღეს გიორგი გამყრელიძის გაჩერება ვერ მოვახერხეთ, რომელმაც პრობლემები შეგვიქმნა. პირველ ნახევარში ბევრი საჯარიმო ვერ გამოვიყენეთ, თუმცა მეორე ტაიმში გამოვასწორეთ.

***კოტე ტუღუში (არმია):***

– პირველ რიგში, მივულოცავ მეტოქეს ასეთ სერიოზულ თამაშში გამარჯვებას, დღევანდელი მატჩი ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მადლობა გეორგოს კესელიდისს ამ სიტყვებისთვის. „შსს აკადემია“ ძალიან ძლიერი გუნდია, ყველაზე დალაგებულ კალათბურთს თამაშობს. ვფიქრობ, მთავარი ფავორიტია და სწორედ მათი დამარცხება მოგვიწევს, თუ ჩემპიონობა გვინდა. დღეს ბევრი ვიშრომეთ, თუმცა მეტოქეს ვერ მოვერიეთ. შეტევაში უფრო მეტი შეცდომა დავუშვით, ვიდრე დაცვაში. ამაზე მუშაობა მოგვიწევს.

***ილია ლონდარიძე (შსს აკადემია):***

– ძალიან დიდი მადლობა „არმიას“ დაძაბული და საინტერესო თამაშისთვის. მიხარია, რომ გავიმარჯვეთ.

***ლაშა გამყრელიძე (არმია):***

– ვულოცავ მოწინააღმდეგეს. ვეთანხმები მწვრთნელს, რომ შსს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ყველაფერი გავაკეთეთ, ბოლომდე დავიხარჯეთ, თუმცა მესამე პერიოდიდან ძალიან ცუდად წაგვივიდა თავდასხმაში თამაში, დაცვაშიც შეცდომები დავუშვით და აკადემიის უპირატესობა ველარ შევამცირეთ.

**სოხუმი – რუსთავი 96:92**

ერთი შეხედვით რიგითი დაპირისპირება ისეთი დაძაბული, საინტერესო და დრამატული გამოდგა, რომ სუპერლიგის ნებისმიერ ფინალს დაამშვენებდა. ამ შეხვედრაში რამდენიმე რეკორდი დაფიქსირდა, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული 2 დამატებითი 5-წუთეულია, რომლის ანალოგი ბოლო წლებში არ დაფიქსირებულა. კიდევ უფრო მოულოდნელი კი ის გახლავთ, რომ ეს დრამატული და ემოციური შეხვედრა სოხუმელებმა მოიგეს.

„სოხუმი“ რომ ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი და შეუპოვარი გუნდია, კიდევ ერთხელ დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა კვარაცხელიას გუნდს მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ 4 მოგება ჰქონდა მოპოვებული და მე-9 ადგილზე იმყოფებოდა. 12 გამარჯვების მქონე „რუსთავი“ კი მე-3 ადგილზე იყო და ამ მატჩის მოგების უპირობო ფავორიტადაც ითვლებოდა. ტრავმის გამო ქვემოქართლელებს ლევან ცეკვავა და მიხეილ ჭოჭუა აკლდნენ, თუმცა სოხუმელებს არანაკლები ძალა აკლდათ – გუნდის ლიდერი ირაკლი ჩლაიძე.



თამაში ისე დაიწყო, რომ ალბათ არავინ იფიქრებდა, რომ შეხვედრაში 2 ოვერტაიმი დაინიშნებოდა და ბოლოს გამარჯვებული „სოხუმი“ გამოვიდოდა. რუსთაველებმა საწყისი მეოთხედი 17:14 ქულით მოიგეს, მეორე პერიოდის შუაწელში კი 9 ქულით დაწინაურდნენ – 25:16. თუმცა „სოხუმი“ დანებებას არ აპირებდა და ანგარიში მალევეც გაათანაბრა, პირველი ტაიმი კი 2 ქულით მოიგო – 40:38. ამ მომენტისთვის სოხუმელ სერგო ათუაშვილს უკვე ორმაგი დუბლი (17 ქულა, 11 მოხსნა) ჰქონდა მოგროვებული, რუსთაველთაგან კი ამერიკელი ნეით ბოუი გამოირჩა 22 ქულით. ბოუიმ საბოლოოდ 49 ქულით მიმდინარე სეზონის რეკორდი დაამყარა, მაგრამ ამ შესანიშნავ შედეგს ბრწყინვალება სოხუმელებმა დაუკარგეს.

სოხუმელთა გამარჯვება ორმაგად დასაფასებელი იმიტომაა, რომ ისინი მაშინაც კი არ გატყდნენ, როცა ბოლო მეოთხედში სოლიდური ლიდერობა ხელიდან გამოეცალათ, მოგვიანებით კი, მეორე დამატებით პერიოდში 5 ქულით ჩამორჩნენ და არც ამჯერად შეეგუენ დამარცხებას.

თუმცა, მივყვეთ მოვლენებს: მესამე მეოთხედის მიწურულს „სოხუმი“ 59:49 იგებდა, მაგრამ ნეით ბოუიმ შედეგიანი თამაშის წყალობით რუსთაველებმა დროის მონაკვეთი 12:0 მოიგეს და ბოლო პერიოდის დასაწყისში 61:59 დაწინაურდნენ. სოხუმელები ვაბანკზე წავიდნენ და სამქულიანებით სცადეს ფონს გასვლა, რაც გამოუვიდათ კიდეც – ბოშკო სტოიაკოვიჩმა 3 სამქულიანი ჩააგდო, რასაც რატი ბააკაშვილმა 1 სამიანი და 2 საჯარიმო მოაყოლა. „სოხუმმა“ 11:0 გაქცევა მოაწყო და 70:61 დაწინაურდა.

ძირითადი დროის ბოლო წუთები ძალიან დაძაბული გამოდგა. ათუაშვილის ორქულიანის შემდეგ კვარაცხელიას გუნდი მხოლოდ 75:71 იგებდა, თამაშის საფინალო სირენამდე კი წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა. აქ კი თითქმის სასწაული მოახდინა ნეით ბოუიმ, რომელმაც ჯერ სამიანი ჩააგდო, შემდეგ კი სოხუმელებს ჩაუჭრა და ორქულიანით „რუსთავი“ 76:75 დააწინაურა. ძირითადი დროის დასრულებამდე 24 წამი რჩებოდა, რის შემდეგაც ათუაშვილმა ორქულიანი ჩააგდო, ბოუის კი სტოიაკოვიჩმა ჩაუჭრა და ფარქვეშ დარჩენილ ათუაშვილზე რუსთაველები დაჯარიმდნენ. სერგომ მხოლოდ 1 საჯარიმო სროლა გამოიყენა და „სოხუმი“ სირენამდე 8 წამით ადრე 78:76 დაწინაურდა. ბოლო შეტევაში ძალიან ლამაზი ბურთი ჩააგდეს რუსთაველებმა. რევაზ ათანელიშვილმა დრიბლინგი მოხდენილი ჩატენვით დააგვირგვინა და თამაშიც დამატებით დროში გადავიდა.

პირველმა ოვერტაიმმა ვერაფერი გაარკვია, ხოლო მეორე დამატებითი პერიოდის დებიუტში კაელ ნელსონმა ზედიზედ მითვლილი 5 ქულით რუსთაველები 85:80 დააწინაურა. ოვერტაიმის დასრულებამდე 3 წუთი რჩებოდა, რაც საკმარისი დრო გამოდგა საიმისოდ, რომ სოხუმელებს ანგარიში გაეთანაბრებინათ და დაწინაურებულიყვნენ. გრიგოლ შვანგირაძემ უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო, რასაც ქადარიას 3 ქულაც მოყვა და ანგარიში გათანაბრდა – 88:88.

ბოლო წუთზე ყველაფერი სოხუმელთა ლატვიელმა ლეგიონერმა, კარლ მუჟნიეკსის ნებისყოფამ გადაწყვიტა, რომელიც ჯერ 20 წლისაც არაა და ასეთ დაძაბულ მომენტში ამხელა ფსიქოლოგიურ წნეხს გაუძლო. მუჟნიეკსმა მეორე ოვერტაიმის ბოლო 40 წამში 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, რითაც რუსთაველებს წარმატების შანსი გადაუწურა. არადა, ლატვიელმა ახალგაზრდამ ამ შეხვედრაში მხოლოდ 10 წუთი ითამაშა, თუმცა ბოლო წუთზე მისი საჯარიმოები სოხუმელთათვის უდიდესი გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა. საბოლოოდ ეს დრამატული შეხვედრა კვარაცხელიას გუნდის 4-ქულიანი გამარჯვებით – 96:92 დამთავრდა.

კიდევ ერთი რეკორდი გააუმჯობესეს სოხუმელებმა. სერგო ათუაშვილმა 26 ქულას მიმდინარე სეზონში სარეკორდო 26 მოხსნა მიამატა. ასევე 26 ქულა ჰქონდა სტოიაკოვიჩს, რომელმაც პირად ანგარიშზე 9 პასიც ჩაიწერა. შვანგირაძე სოხუმელებს 17 ქულით შეეწია. რუსთაველების ბომბარდირზე უკვე ვთქვით: ბოუიმ სარეკორდო 49, ხოლო კაელ ნელსონმა 23 ქულა მიითვალა.

### მატჩის შემდეგ

***ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):***

– მადლობა რუსთავის გუნდს ასეთი ბრწყინვალე თამაშისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გვყავდა ორი ტრავმირებული მოთამაშე (ირაკლი ჩლაიძე, დავით დეკანოიძე) ძლიერ გუნდთან გამარჯვების მოპოვება მოვახერხეთ. ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანა რეგულარული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილის დაკავებაა, შემდეგ კი ვნახოთ თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

***მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი):***

– ვულოცავ მოწინააღმდეგეს დღევანდელ წარმატებას, მათ ნამდვილად დამსახურებულად მოიგეს. რაც შეგვეხება ჩვენ, უკმაყოფილო ვარ მსაჯთა მაგიდის მუშაობით, რომელმაც ორი მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა: ჯერ 24 წამის ამოწურვის შემდეგ ჩავარდნილი სამქულიანი ჩათვალეს, შემდეგ კი თამაშის ბოლოს დრო გაექცათ. ვფიქრობ, აღნიშნულმა ფაქტმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს მარცხში.

***ვახტანგ ქადარია (სოხუმი):***

– ჩვენი გამარჯვება ფარზე დიდმა უპირატესობამ და ზუსტმა პასებმა განაპირობა. „რუსთავი“ ფავორიტად იყო მიჩნეული, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლეთ და მოვიგეთ, რაც ძალიან გვჭირდებოდა.

***ნეით ბოუი (რუსთავი):***

– კარგი თამაში გამოვიდა. ვფიქრობ, მოგება შეგვეძლო, თუმცა გვაკლდნენ მოთამაშეები, რომლებიც როგორც დაცვაში, ისე შეტევაში დაგვეხმარებოდნენ. „სოხუმი“ ძლიერი გუნდია, რომელმაც დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

**დინამო – თსსუ 90:62**

სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდს მიმდინარე სეზონში მხოლოდ 1 გამარჯვება აქვს და ფავორიტ დინამოელებთან რომ წარმატების მიღწევა გაუჭირდებოდათ, წინასწარ იყო ცნობილი.

მეტნაკლებად თანაბარი ორთაბრძოლა მიმდინარეობდა პირველ მეოთხედში, სანამ დინამოელები თამაშსააწყობდნენ და დაალაგებდნენ. სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი მეტოქის ხარვეზების წყალობით ქულებს იხვეჭდა და ანგარიშში სხვაობაც დიდი არ იყო. პირველი მეოთხედი „დინამოს“ 4-ქულიანი უპირატესობით – 20:16 დასრულდა, რის შემდეგაც ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი გუნდი მეტი მონდომებით ათამაშდა და დიდ შესვენებას 9-ქულიანი უპირატესობით შეხვდა – 44:35.

მეორე ტაიმში თამაშის სცენარი არ შეცვლილა. დინამოელები ლეგიონერების აქტიურობისა და სიზუსტის ხარჯზე ქულებს იოლად იხვეჭდნენ და მათი უპირატესობაც ნელ-ნელა გამანადგურებელი ხდებოდა. საბოლოოდ ხოშტარიას გუნდმა 28 ქულის სხვაობით გაიმარჯვა და ცხრილში ქუთაისს გაუთანაბრდა.

დინამოელთაგან 10-ქულიანი ზღვარი ოთხმა კალათბურთელმა გადალახა – მილან ოლუიჩმა (19), ლამარ კარიმმა (18), ფლინ კლაიმანმა (15) და ბექა ჩიკვილაძემ (13). რაც შეეხებათ მედიკოსებს, 25 ქულითა და 13 მოხსნით საუკეთესო ლევან რევაზაშვილი გახლდათ, ხოლო ზურა მაისურაძემ თსსუ-ს 14 ქულა შესძინა.

### მატჩის შემდეგ

***ირაკლი ხოშტარია (დინამო):***

– მადლობა მოწინააღმდეგეს. როგორც ყოველთვის, ჩვენს გუნდს ერთი და იგივე პრობლემა აქვს – თავიდან მეტოქეს ჯეროვნად ვერ ვაფასებთ და შესვენებაზე მოთამაშეებთან მკაცრი საუბარი მიწევს. თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ახალგაზრდებს მიეცათ თავის გამოჩენის საშუალება.

თენგიზ ფიცხელაური (თსსუ):

– ვულოცავ მეტოქეს გამარჯვებას. ჩვენ კარგად ვიწყებთ ხოლმე, მაგრამ გუნდის ინდივიდუალური თუ ფიზიკური მომზადების დონე არ გვაძლევს საშუალებას, სუპერლიგის ასეთ გუნდებთან შეხვედრაში სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

***ბექა ღუდუშაური (დინამო):***

– თავიდან შედარებით სუსტად დავიწყეთ, თუმცა შემდეგ მწვრთნელის მითითებები შევასრულეთ და გამარჯვება მოვიპოვეთ.

***ლევან რევაზაშვილი (თსსუ):***

– ძალიან ცუდად ვითამაშეთ დაცვაში, ინდივიდუალურად უკეთ გამოგვდის, თუმცა გუნდური თამაში გვიჭირს.

**თსუ – ბათუმი 86:66**

ამ მატჩის მთავარი ინტრიგა საპლეიოფო საგზურისთვის ბრძოლა იყო. ეს გუნდები აუტსაიდერებად ითვლებიან, რომლებიც პლეი ოფის ბოლო საგზურებისთვის იბრძვიან. „ბათუმის“ დამარცხებით თსუ-მ თითქმის გაინაღდა საუკეთესო 8 გუნდს შორის ადგილი, აჭარლებს კი პლეი ოფის საგზურისთვის ჭიდილი „სოხუმთან“ მოუწევს.

რაც შეეხება თავად მატჩს, მისი პირველი ტაიმი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. 3 წამყვანი მოთამაშის გარეშე მყოფი ბათუმელები პირველ ნახევარში და მესამე პერიოდის დასაწყისში ლიდერობდნენ, თუმცა ბოლომდე საბრძოლველად ძალა აღარ ეყოთ. ზღვისპირელებს განაცხადში მხოლოდ 7 მოთამაშე ჰყავდათ, რადგან დავით ნანიტაშვილს ტრავმა აწუხებდა, ხოლო ნიკა რამიშვილი და ვანო მაისურაძე დისკვალიფიცირებულნი იყვნენ.

მესამე პერიოდში თსუ-ს წევრებმა ერთ ეპიზოდში ზედიზედ 3 ტექნიკური ჯარიმა მიიღეს, ლაშა კეშელავამაც 6-ივე საჯარიმო ჩააგდო, მაგრამ მიუხედავად ამისა, სტუდენტებმა მაინც მოახერხეს ლიდერობის მოპოვება და ბოლო მეოთხედში მეტოქე საბოლოოდ გატეხეს.

გამარჯვებულებს 20 ქულითა და 17 მოხსნით კოტდივუარელმა ლეგიონერმა სერჟ ასელაინმა ულიდერა. 18 ქულა და 7 პასი მოაგროვა გივი ბაქრაძემ, ვახტანგ ჩქარეულმა და დავით ხიზანიშვილმა პირად ანგარიშზე 13-13 ქულა ჩაიწერეს. ბათუმელთა შორის 19 ქულით გიორგი ყველაშვილი გამოირჩა, 16 ქულა ჰქონდა ლაშა კეშელავას, ავთანდილ ელიაშვილმა კი შეხვედრა 10 ქულით დაასრულა.

### მატჩის შემდეგ

***გიორგი დოლბაია (თსუ, მენეჯერი):***

– პირველ რიგში, მადლობა „ბათუმს“ კარგი თამაშისთვის. პირველ მეოთხედში შედარებით გაგვიჭირდა თამაში, მაგრამ სასურველ მიზანს მივაღწიეთ. ეს გამარჯვება გვჭირდებოდა, ძალიან პრინციპული თამაში იყო და შესაძლოა ითქვას, რომ უკვე 8 საუკეთესო გუნდში ვართ.

***მიხეილ კობეშავიძე (ბათუმი):***

– ვულოცავ მოწინააღმდეგეს გამარჯვებას და პლეი ოფში გასვლას. კარგი მწვრთნელი ჰყავს, პერსპექტიული გუნდია, ყველაფერი გააკეთეს მოგებისთვის და დაიმსახურეს კიდეც გამარჯვება. წარმატებებს ვუსურვებ მომავალში.

***გივი ბაქრაძე (თსუ):***

– ძალიან სასიხარულოა უშუალო კონკურენტთან მოგება, მათ 3 ძირითადი მოთამაშე არ ჰყავდათ და მაინც კარგი წინააღმდეგობა გაგვიწიეს.

**მანუჩარ ნინუა (ბათუმი):**

– ვულოცავ მეტოქეს. 3 მოთამაშე გვაკლდა, მაგრამ ყველაფერი გავაკეთეთ, თუმცა ბოლოს ძალა არ გვეყო. ვეცდებით, რომ მომავალ თამაშებში გავიმარჯვოთ.

**ქუთაისი – ოლიმპი 76:78**

იმერეთმა საინტერესო და დაძაბულ შეხვედრას უმასპინძლა. მატჩი თანაბარი ბრძოლით დაიწყო. პირველ მეოთხედში სტუმრებმა იმარჯვეს 21:18, მორიგი მეოთხედიც „ოლიმპის“ სასარგებლოდ დასრულდა და თამაშის პირველი ნახევარი 10-ქულიანი უპირატესობით დაასრულა. დიდი შესვენების შემდეგ ქუთაისი გააქტიურდა, მოიგო მესამე პერიოდი 17:12, ბოლო მეოთხედიც მასპინძელთა სასარგებლოდ 28:25 დასრულდა, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი საბოლოო გამარჯვებისთვის. „ოლიმპმა“ ქუთაისში 78:76 იმარჯვა.

მატჩის გამორჩეული მოთამაშეები სტუმართაგან აკაკი დვალიშვილი (20 ქულა, 9 მოხსნა) და ლევან ფაცაცია (17 ქულა, 9 მოხსნა) იყვნენ, ხოლო ქუთაისელთაგან – გიორგი ბარბაქაძე (23 ქულა) და რიჩარდ მათიაშვილი (19 ქულა, 15 მოხსნა).

### მატჩის შემდეგ

***გია კაზანჯიანი (ოლიმპი):***

– როგორც ყოველთვის, ამ გუნდების მატჩი ახლაც ბოლო წუთამდე დაძაბული იყო. თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 11 ქულას ვიგებდით, თუმცა მასპინძლებმა მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანეს და რომ არა თეიმურაზ ბაბუნაშვილის არაზუსტი საჯარიმოები, ალბათ დავმარცხდებოდით. შესაძლოა ითქვას, რომ გაგვიმართლა. რაც შეეხება სტივენ მილოშევიჩს, რომელსაც დღეს არ უთამაშია, სრული დატვირთვით ვარჯიშს კვირას დაიწყებს და „დინამოსთან“ მატჩში აუცილებლად დაგვეხმარება.

***დავით უსტიაშვილი (ქუთაისი):***

– თავიდან კარგად დავიწყეთ თამაში, თუმცა შემდეგ „ოლიმპი“ უკეთესად ათამაშდა და შეხვედრა ძალიან დაიძაბა. სამწუხაროა, რომ წავაგეთ, თუმცა ჩვენი გუნდი ბოლომდე იბრძოლებს და მომავალ მატჩებში მაქსიმალურად დავიხარჯებით, რათა ბევრად უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ. პირველ ტაიმში ფეხის ტრავმა მიიღო ბუბა კვიმსაძემ და მეორე ტაიმში ველარ დაგვეხმარა. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, რამდენად სერიოზული ტრავმაა. ეს ალბათ უახლოეს დღეებში გარკვევა. რაც შეეხება მომდევნო ტურს, ვეცდებით, „რუსთავთან“ გამარჯვება მოვიპოვოთ. მიმდინარე ჩემპიონატს, ჩვენი მიზანი ჯერ 8 საუკეთესო გუნდში, შემდეგ კი ოთხეულში შესვლა იქნება.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.შსს | 16 | 14 | 21331:1061 | 30 |
| 2.ოლიმპი | 15 | 13 | 21331:1072 | 28 |
| 3.რუსთავი | 16 | 12 | 41392:1175 | 28 |
| 4.არმია | 15 | 12 | 31358:1022 | 27 |
| 5.ქუთაისი | 16 | 9 | 71284:1156 | 25 |
| 6.დინამო | 15 | 10 | 51174:1097 | 25 |
| 7.თსუ | 16 | 6 | 101143:1270 | 22 |
| 8.სოხუმი | 15 | 5 | 101165:1259 | 20 |
| 9.ბათუმი | 16 | 3 | 131090:1325 | 19 |
| 10.თსსუ | 15 | 1 | 14938:1389 | 16 |
| 11.სტუ | 15 | 0 | 15957:1337 | 15 |

# თამარ გვერდწითელს ვარსკვლავს გაუხსნიან

დასაწყისი მე-12 გვერდზე

არის დაკავებული. იგი ასრულებს კარმენის არიას დნეპროპეტროვსკის საოპერო თეატრში, მას იღებენ კინოში, მღერის სხვადასხვა კონცერტებზე, ატარებს კონცერტებს დიმიტრი დიუჟევთან ერთად, სამი წლის წინ კი მისმა დებიუტმა მონოსპექტაკლში დიდი წარმატებით ჩაიარა. თამარ გვერდწითელი მსმენელს იმითიც აღაფრთოვანებს, რომ ასრულებს სიმღერებს ქართულ, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, ინგლისურ, ივრითულ, უკრაინულ, გერმანულ და სომხურ ენებზე.

რაც შეეხება თამარ გვერდწითელის პირად ცხოვრებას, მისი პირველ მეუღლე ქართველი რეჟისორი გიორგი კახაბრიშვილია, მათ საერთო ვაჟი, სანდრო ჰყავთ, რომელიც ამჟამად ლონდონში სწავლობს. მომღერალმა მეორედ ბედი დიმიტრის დაუკავშირა, რომელიც პროფესიით ადვოკატი იყო. მისი მეორე ქმარი გულის უკმარისობით გარდაიცვალა. მესამედ კი თამარ გვერდწითელი კარდიოქირურგ სერგეი ამბატელოვზე დაქორწინდა, რომელთანაც მხოლოდ ოთხი წელი იცხოვრა და 2005 წელს გაეყარა. თამარ გვერდწითელი საქართველოში ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტიურად ჩამოდიოდა, მან კონცერტი გამართა ბათუმში, პიაცას მოედანზე მიშელ ლეგრანთან ერთად, სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში, „მზიურის“ ვარსკვლავის გახსნაზე, გასულ წელს კი დიდ საკონცერტო დარბაზში სოლოკონცერტიც გამართა. ამჯერად უკვე თავის ერთგულ სასცენო პარტნიორთან ერთად უბრუნდება თბილისს და მადლიერი მსმენელისგან საჩუქრად ვარსკვლავსაც მიიღებს.

თამარ გვერდწითელის კონცერტის საპატიო სტუმარი დიმიტრი დიუჟევი რეჟისორი და თეატრისა და კინოს მსახიობია. ის 35 წლისაა და მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ესტრადაზე გამოჩენამდე იგი აქტიურად მსახიობობდა და სხვადასხვა ფილმებშიც აქვს მონაწილეობა მიღებული, იგი ჩეხოვის სახელობის თეატრის მსახიობია. პროექტის „ორი ვარსკვლავი“ მონაწილეობის შემდეგ მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, ამ პროექტში გამარჯვების შემდეგ მან საკუთარ თავში მომღერლის ნიჭიც აღმოაჩინა და მას შემდეგ თამარ გვერდწითელთან ერთად მართავს კონცერტებს და გასტროლებზეც აქტიურად დადის. მომღერალს ჰყავს მეუღლე ტატიანა და 5 წლის ბიჭი ივანე. დიმიტრი დიუჟევი საქართველოში პირველად ჩამოდის და როგორც დავით ოქიტაშვილი ამბობს, მას დიდი მოლოდინი აქვს, განსაკუთრებულად ელოდება ქართველ მსმენელთან შეხვედრას და საქართველოში ჩამოსვლას.

თამარ გვერდწითელისა და დიმიტრი დიუჟევის კონცერტზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა 20 თებერვალს დაიწყო და ელვის სისწრაფით გაიყიდა. კონცერტზე დასასწრები ბილეთი კი 30-დან 70 ლარამდეა.

დავით ოქიტაშვილი, კონცერტის ორგანიზატორი:

– ეს იქნება სრულიად სხვა საკონცერტო პროგრამა, თუმცა რამდენიმე სიმღერა შესრულდება ისეთი, რომელიც წინა კონცერტზეც იყო, მაგრამ არის სიმღერები, რომელიც მას 20 წელია არ უმღერია. ამ კონცერტისთვის განსაკუთრებული საკონცერტო პროგრამა მომზადდა.

***– როდის ჩამოვიდა თამარ გვერდწითელი თბილისში?***

– 11 მარტს გამთენიისას ჩამოვიდა თბილისში, უკვე აქ არის და ემზადება თავის საყვარელ მსმენელთან შესახვედრად.

***– დიმიტრი დიუჟევი მისი აქტიური პარტნიორია?***

– დიახ, დიმიტრი დიუჟევი მისი აქტიური პარტნიორია, თვითონ გამოთქვა სურვილი, რომ მის კონცერტში ყოფილიყო ჩართული. 15 მარტის კონცერტი არ არის ჩვეულებრივი კონცერტი, ამ დღეს გაიმართება მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნაც. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდის დაახლოებით 300 სტუმარი.

***– როგორია საკონცერტო პროგრამა?***

– ჯერ იქნება ქართული ბლოკი, მერე მსოფლიო ჰიტები და ბოლოს დიმიტრი დიუჟევთან ერთად შესრულდება დუეტები. კონცერტში ასევე მონაწილეობს საპატრიარქოს გუნდი, „შვიდკაცა“ და თბილისის სიმებიანი კვარტეტი.

***– ორკესტრი?***

– ორკესტრი არა. თამრიკომ ფორმატი შეცვალა, ორკესტრთან უკვე ჰქონდა კონცერტი, ახლა თავის ბენდთან ერთად წარსდგება მსმენელის წინაშე.

***– დიმიტრი დიუჟევი პირველად ჩამოდის ჩვენთან?***

– დიახ, დიმიტრი დიუჟევი საქართველოში პირველად ჩამოდის. ძალიან ნერვიულობს, ელოდება ქართველ მაყურებელთან შეხვედრას, მისი მეგობარია, მათ ისეთ პროექტში გაიმარჯვეს, რომ ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. აღმოჩნდა, რომ ამ მსახიობ კაცს არაჩვეულებრივად სიმღერაც შეძლებია.

***– კონცერტის რეჟისურაც თვითონ თამარ გვერდწითელმა გადაწყვიტა?***

– არა, დათო დოიაშვილი უდგამს კონცერტს.

***–ხომ გაიხსნა „მზიურის“ ვარსკვლავი, თამრიკო გვერდწითელისთვის პერსონალურად რატომ გადაწყვიტეთ ვარსკვლავის გახსნა?***

– იმიტომ, რომ თამრიკო გვერდწითელი გასცდა „მზიურსაც“ და ყველაფერსაც, ეს არის ქართველი მომღერალი, რომელმაც კარნეგი ჰოლში იმღერა, ასეთი მე მგონი საქართველოში არავინ გვყავს. მომღერლების მოღვაწეობაში ეს გადამწყვეტი რამ არის, სულ რომ არაფერი გააკეთო, უკვე ისტორიაში შედიხარ. თამრიკო გასცდა ყოველგვარ საზღვრებს და ვარსკვლავის გახსნასაც ნამდვილად იმსახურებს. რამდენი წელია კონცერტებს ვაკეთებ და ასეთი რამ ჯერ არ მახსოვს, მან ყველანაირი რეკორდი მოხსნა. კონცერტამდე 10 დღით ადრე ბილეთები უკვე აღარ იყო.

***– არადა, ბილეთები ცოტა ნამდვილად არ ღირდა.***

– კი, მისი კონცერტის ბილეთის ფასი 30-დან 70 ლარამდეა. საზღვარგარეთ მისი კონცერტების ბილეთები უფრო ძვირი ღირს, ჩვენ ვეცადეთ მაქსიმალურად შეღავათიანი ფასი დაგვედო, რომ მაყურებელს მოსვლა შეძლებოდა. მივხვდი, რომ თუ ნორმალურ, გემოვნებიან ღონისძიებას შესთავაზებ საზოგადოებას, ყველანაირ თანხას გადაიხდის. რა თქმა უნდა, ასტრონომიულ თანხებზე არ მაქვს ლაპარაკი. მან მოხსნა საქართველოში ყველანაირი რეკორდი, მახსოვს, რომ საქართველოში ღონისძიებებზე 5-4-3 დღით ადრე არ იყო ბილეთები, მაგრამ 10 დღით ადრე, რომ ბილეთები აღარ იყოს, ასეთი ღონისძიება არ მახსოვს.

***– გამოდის სწორად გათვალეთ?***

– მე ყველაფერს ყოველთვის სწორად ვთვლი, ჩემო კარგო.

***– მისი კონცერტი ტელეკომპანია იმედის 10 წლის იუბილეს ეძღვნება?***

– ტელეკომპანია „იმედი“ იუბილარია, ის დაარსებიდან 10 წლის იუბილეს აღნიშნავს და დაგეგმილი აქვს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. თამარ გვერდწითელის კონცერტი ამ ღონისძიებების ერთ-ერთი მთავარი ცენტრალური მოვლენაა.

***– როდის დატოვებენ საქართველოს ქართველი მომღერალი და მისი სტუმარი?***

– თამრიკო 17 მარტს დატოვებს საქართველოს.

***– გარდა იმისა, რომ თამარ გვერდწითელი და დიმიტრი დიუჟევი გამართავენ კონცერტს, უკვე გახმაურდა, რომ თქვენ ანჟელიკა ვარუმის და ლეონიდ აგუტინის ჩამოყვანას აპირებთ. კიდევ ვის მოიწვევთ საქართველოში?***

– მე ყოველთვის ჩემს ხალხს ვემსახურებოდი. იცით აგუტინზე და ვარუმზე რა ხდება? ყველა თაობის მსმენელი მიდის და ბილეთებს ყიდულობს. ხალხს მოენატრა რუსი მომღერლებიც, მათი მუსიკაც. ყველაფერს გავაკეთებ, რომ კულტურა პოლიტიკისგან განთავისუფლდეს, ასე არ შეიძლება! მათაც უნდათ ჩამოვიდნენ საქართველოში და ქართველ ხალხს მოეფერონ, სიყვარულით უმღერონ. ამაში ცუდს რას ხედავთ? მე მაგალითად, ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ.

# რა ხდება ოპერისა და ბალეტის თეატრში?

ეკა ირემაშვილი



2013 წელი ქართული კულტურისთვის საკმაოდ ხმაურიანი აღმოჩნდა. ჯერ იყო და დავით საყვარელიძემ და ზაალ ჩიქობავამ თანამდებობები დატოვეს, ამას მოჰყვა ნიკოლოზ რაჭველის მიერ ეროვნული მუსიკალური ცენტრიდან მუსიკოსების დათხოვნა, ახლა კი ხმაურმა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გადაინაცვლა. როგორც გავრცელდა ინფორმაცია, თეატრის ახალმა მმართველმა სამსახურიდან 46 თანამშრომელი დაითხოვა. გავრცელებულ ინფორმაცია არ ადასტურებენ თეატრში და აღნიშნავენ, რომ რეალურად სამსახურიდან 19 თანამშრომელი წავიდა და ისიც საკუთარი განცხადების საფუძველზე.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ადმინისტრაცია გამოეხმაურა ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებულ თემას, რომელიც შეეხება თეატრის თანამშრომელთა სამსახურიდან გათავისუფლებას რეორგანიზაციის პროცესთან დაკავშირებით.

თეატრმა სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„როგორც საზოგადოებრიობისთვის ცნობილია, მიმდინარეობს თეატრის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოხდეს შრომითი ურთიერთობების გადახედვა კონკრეტულ პოზიციებთან დაკავშირებით რაც, ცხადია, არ გულისხმობს თანამშრომელთა მასიურ დათხოვნებს.

მოცემულ ეტაპზე დაკავებული თანამდებობა საკუთარი სურვილით (განცხადების საფუძველზე) დატოვა 19 პიროვნებამ.

თეატრის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის თითოეულ თანამშრომლს გაწეული შრომისთვის და იმედოვნებს, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის რეკონსტრუქციის დასრულების შემდგომ, თეატრი თქვენთვის კვლავაც ერთგული მეგობარი და სახელოვნებო კერა იქნება“.

დავით საყვარელიძის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველად კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ გიორგი ჟორდანია 31 იანვარს წარადგინა. მაშინ ამბობდნენ, რომ ჟორდანია ამ თანამდებობაზე ბიძინა ივანიშვილთან სიახლოვის წყალობით მოხვდა. გავრცელებული ინფორმაციით, ოპერისა და ბალეტის თეატრიდან 46 თანამშრომელი გაათავისუფლეს, მათ შორის, როგორც შემოქმედებითი ჯგუფის, ორკესტრის წევრები, ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლებიც. სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს ოპერისა და ბალეტის თეატრის თანამშრომელთა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ თანამშრომლებმა თანამდებობები საკუთარი სურვილით დატოვეს.

რა მოხდა რეალურად ოპერისა და ბალეტის თეატრში ახალი მმართველის მოსვლის შემდეგ და წავიდნენ თუ არა რეალურად საკუთარი განცხადების საფუძველზე თეატრის თანამშრომლები, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

# საქართველოში ქურთულ კულტურას წარმოადგენენ

ეკა ირემაშვილი

15-დან 17 მარტის ჩათვლით ეროვნულ ბიბლიოთეკაში „ქურთული კულტურის დღეები საქართველოში“ ჩატარდება, რომელიც საქართველოს ქურთთა ახალგაზრდობის კავშირის მიერ მოეწყობა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად.

როგორც ელენე ხუდოიანი აცხადებს, გამოფენა ეძღვნება ქურთული რადიოს (პირველი საზოგადოებრივი რადიოს მაუწყებელი) მუშაობის 35-ე წლისთავს, ქურთულ სახალხო თეატრსა და ანსამბლებს.

– ქურთული სახალხო თეატრი დაარსდა 1979 წელს, რომელსაც მიენიჭა სახალხოს წოდება. თავისი მოღვაწეობის პერიოდში თეატრის სცენაზე იდგმებოდა სპექტაკლები ოთარ იოსელიანის, იური ვიზბორის, გიორგი ხუგაევის და სხ. სცენარის მიხედვით. ქურთული რადიო რონკაი (განთიადი) დაარსდა 1978 წელს. წელს, 29 სექტემბერს ის აღნიშნავს თავის 35-ე წლისთავის იუბილეს. მის ეთერში გადიოდა არაერთი გადაცემა ცნობილ მოღვაწეებზე, პოლიტიკოსებზე, სპორტსმენებზე და სხვა მნიშვნელოვან პიროვნებებზე. სწორედ ამ საიუბილეო თარიღს გვინდა მივუძღვნათ ღონისძიებები, რომელიც მთლიანად ქურთულ კულტურას გააერთიანებს, – აღნიშნავს ელენე ხუდოიანი.

ქურთული კულტურის დღეების გახსნა საზეიმო ვითარებაში 15 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება, გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების დათვალიერება ნებისმიერ მსურველს 17 მარტის ჩათვლით შეეძლებათ.

ქურთული კულტურის დღეების გახსნაზე შეკრებილ საზოგადოებას მიესალმებიან თამაზ ავდალიანი, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ზურაბ დვალი, ნაციონალური უმცირესობების ენაზე მაუწყებლობის გენერალური პროდიუსერი დოდო ჩაჩავა, კულტურის ცენტრ „იმედის“ ხელმძღვანელი ქარამ ანყოსი, აღმოსავლეთ მცოდნე, ქურთული რადიო „რონკაის“ რედაქტორი. ღონისძიების მეორე ნაწილში 16 მარტს კავკასიურ სახლში გაიმართება ქურთი პოეტების ზინაიდა ჯავოევას, ქარამ ანყოსისა და გრიგოლ კაკლიანის კრებულების პრეზენტაცია.

გასულ წელს ორგანიზაცია „საქართველოს იეზიდთა სახლის“ მოწვევით ერაყის, ქურთისტანის რეგიონის, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, 35 კაციანი შემადგენლობა ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა რამდენიმე ღონისძიება. ქალაქ ერბილის ქურთული კულტურის ფოლკლორულმა ანსამბლმა თბილისი არტ ჰოლში კონცერტი გამართა. კონცერტზე წარმოდგენილი იქნა ერაყის ქურთისტანის რეგიონის სახელმწიფო ანსამბლის ცეკვისა და სიმღერის პროგრამა. მომდევნო დღეს კი თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ქალაქ აკრას ხალხურმა ახალგაზრდულმა ანსამბლმა კონცერტი ჩაატარა, სადაც წარმოდგენილი იყო ნაციონალური ცეკვისა და სიმღერის პროგრამა.

## კროსვორდი ბ



შვეულად: 1. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 2. ჩარხზე მომუშავე ოსტატი; 3. საჭმლის მომზადების ხელოვნება; 4. წვრილად დაჭრილი გამხმარი თამბაქოს ფოთოლი; 5. ფინეთის დედაქალაქი; 7. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 11. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 13. რიგითი მეზღვაური; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იტალიაში; 16. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 18. რაიმე ელემენტების პერიოდული, თანაბარზომიერი მონაცვლეობა; 19. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად.

თარაზულად: 6. ძვირფასი მუქი ყავისფერი ბეწვის მქონე წავისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 8. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 9. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 10. სიტყვის ბოლოსართი; 12. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 14. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო ქსელი; 20. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში; 21. ჩეხური ქოფაკი; 22. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 23. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. პარაგვაი; 8. ბარაკი; 9. ავანგარდი; 11. ავარია; 12. სინუსი; 14. ნონეტი; 15. პლაგიატი; 20. ლოტოსი; 22. ტრამვაი; 23. სინი; 24. კინომანი; 25. პური; 26. კატერი; 27. კიური.

**შვეულად:** 1. მარკა; 2. მარაბუ; 4. გრადუსი; 5. დრაივი; 6. მარაკანა; 7. ლილიპუტი; 10. ენოტი; 12. სანდალი; 13. რაპორტი; 16. ნიამეი; 17. იმამატი; 18. მიტენი; 19. ტიტული; 21. ტვიდი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ტატრა; 2. მისტიკა; 3. ჩაკ; 4. ჯიგა; 5. ამაო; 6. ლუნატიზმი 7. ელია; 8. ულაყი; 9. ელარჯი; 10. უხა; 11. დანაე; 12. ვარშავა; 13 კიანუ; 14. კატა; 15. ატიმია; 16. ეტა; 17. ალეკ; 18. არზა; 19. კარავი 20. ბარმენი; 21. იალბუზი; 22. ბადრო; 23. რაკეტა; 24. ალალია; 25 ვალი; 26. რევიუ; 27. კაბუკი; 28. სე; 29. იკარიული; 30. რვალი; 31 ინდაური; 32. ელადა.

**სურათებზე:** ევანჯელინ ლილი; ემანუელ ძაკარდო.


კაცურკაცობის, ადამიანობის, სინდისის, ქველმოქმედების სიმბოლოს, ბატონ

ანზორ ზურტანაძეს

პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს.

ნანა ბუჩქულაძე

# იაპონიაში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრიდან ორი წელი შესრულდა

2011 წლის 11 მარტს იაპონიაში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრიდან 2 წელი გავიდა. იაპონიაში ორი წლის შემდეგაც არაა სრულად აღმოფხვრილი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგები.

2011 წლის 11 მარტს ქვეყანაში რიხტერის შკალით 9,0 ბალის მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრამ და მის შედეგად წარმოქმნილმა ცუნამმა ათასობით ადამიანი იმსხვერპლა.

მხოლოდ ერთი დღის – ტანი აღმოჩნდა, რომელმაც გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკის ტემპების შენელებაზე.

დამანგრეველი მიწისძვრიდან ორი წლის შემდეგაც, 315 ათასი ადამიანი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა საკუთარ სახლებში. მათგან ნახევარზე მეტი იმ რაიონიდანაა ევაკუირებული, სადაც ატომური ელექტროსადგური, „ფუკუსიმა-1“ მდებარეობდა. „მათ უმრავლესობას ჯერ კიდევ სჭირდება დახმარება“, – აცხადებს იაპონიის პრემიერ-მინისტრი სინძო აბე.



2011 წლის 11 მარტის – განმავლობაში იაპონიაში რიხტერის შკალით 5,8 დან 9,0 ბალამდე სულ16 მიწისძვრა მოხდა.

მიწისძრის შედეგად დაზიანდა რამდენიმე ატომური ელექტროსადგური. რადიაციის გაჟონვა მოხდა ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე. დროებით შეწყვიტეს მუშაობა უდიდესმა კოპორაციებმა და კონცერნებმა. დაღუპულთა რიცხვა 20 ათასს მიაღწია , ხოლო დაკარგულთა რაოდენობამ 10 ათასს გადააჭარბა. მხოლოდ მიიაგის პრეფექტურაში დაღუპულთა რაოდენობა 15 ათას ადამიანს აღემატება.

იაპონიაში 11 მარტს მომხდარი მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად წარმოქმნილმა ზარალმა 220 მილიარდი ევრო შადგინა

2011 წლის 11 მარტს მოხდარი მიწისძვრა თავისი შედეგებით იაპონიის ეკონომიკისთვის უდიდესი ზარალის მომ-

იაპონიაში, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე მიწისძვრის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონიები გაიმართა. დედაქალაქში, სამგლოვიარო ღონისძიებებში მონაწილეობა საიმპერატორო წყვილმა, პრემიერ-მინისტრმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიღეს. ასევე, გაიმართა საპროტესტო აქციაც, რომელიც ატომური ენერგეტიკის კურირების, წარმოების და გაყიდვის წინააღმდეგ იყო მიმართული. აქციაში 6 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა.

იაპონიის ხელისუფლება კი ირწმუნება, რომ „ფუკუსიმა-1“-ის გარშემო რადიაციული ფონის შემცირება გაცილებით სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, ვიდრე ამას მეცნიერები ვარაუდობდნენ. ავარიიდან 2012 წლის ნოემბრამდე რეაქტორის ირგვლიც რადიაციული ფონი ორჯერ შემცირდა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ავღანეთში რამდენიმე ამერიკელი და ავღანელი ჯარისკაცი მოკლეს



ავღანეთში რამდენიმე ამერიკელი და ავღანელი ჯარისკაცი მოკლა ავღანეთის სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა თავდამსხმელმა. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. „აისაფის“ პრესსპიკერის განცხადებით, ინციდენტი, რომლის დროსაც ასევე რამდენიმე ადამიანი დაიჭრა, ავღანეთის დასავლეთით მდებარე ვარდაკის პროვინციაში მოხდა.

„აისაფის“ წარმომადგენელთა ვარაუდით, თავდამსხმელი ან ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელი ან ამბოხებულთა დაჯგუფებიდან იყო.

„ბიბისის“ ინფორმაციით, ჯერჯერობით, კვლავ დაუზუსტებელია გარდაცვლილთა რაოდენობა.

ამ ფონზე, პენტაგონის ხელმძღვანელმა ჩაკ ჰეიგელმა, რომელიც ვიზიტით ავღანეთში იმყოფება, ოფიციალურად უარყო ქვეყნის პრეზიდენტის ჰამიდ კარზაის განცხადება, რომლის მიხედვითაც აშშ მოძრაობა „თალიბანის“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.

„მე ვუთხარი პრეზიდენტს – სიმართლე არ არის, რომ აშშ თალიბებთან მუშაობს და ცდილობს მათთან რაღაცაზე მოლაპარაკებას. ფაქტია, რომ მშვიდობის დამყარებისა და პოლიტიკური დარეგულირების უკან თავად ავღანელები უნდა იდგნენ“, განაცხადა პენტაგონის ხელმძღვანელმა ქაბულში, ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

განცხადება იმის შესახებ, რომ აშშ-მა „თალიბანთან“ მოლაპარაკებები განაახლა, ავღანეთის პრეზიდენტმა ჰეიგელთან შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე გააკეთა. კარზაის განცხადებით, ეს კონსულტაციები, რომელიც ყატარში მიმდინარეობს, „რეგულარულ საფუძველზე, ყოველდღიურად“ იმართება.

ავღანეთის პრეზიდენტის თქმით, ამერიკა და „თალიბანი“ ავღანელების დაშინებას ცდილობენ იმით, რომ 2014 წლის შემდეგ, როდესაც ქვეყანას ამერიკის ჯარები დატოვებენ, ავღანეთში სიტუაცია გართულდება.

კარზაის თქმით, შაბათის თავდასხმის მიზანი, რომელსაც 19 ადამიანი ემსხვერპლა, მოსახლეობის შეშინება იყო, რათა მათ უცხოელ ჯარებს ავღანეთში ყოფნის გახანგრძლივებისაკენ მოუწოდონ.

„ბი-ბი-სი“-ს ცნობით, ყარზაიმ პენტაგონის ხელმძღვანელ ჩაკ ჰეიგელთან ერთად დაგეგმილი პრესკონფრენცია გადადო, რომელიც ავღანეთში ვიზიტით იმყოფება.

კარზაის აღნიშნული განცხადება თალიბების წარმომადგენელმა ზაბიჰულა მუჯაჰიდმაც უარყო.

# ფოლკლენდის კუნძულზე რეფერენდუმი ჩატარდა



ფოლკლენდის კუნძულზე რეფერენდუმი ჩატარდა, რომელმაც უნდა გაარკვიოს, სურს თუ არა კუნძულის მოსახლეობას დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენა. ამის შესახებ „ალ ჯაზირა“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, რეფერენდუმის შედეგები დღეს საღამოს გახდება ცნობილი. ექსპერტთა ვარაუდით, მოსახლეობის უმრავლესობა ბრიტანეთში შემადგენლობაში დარჩენას დაუჭერს მხარს.

კუნძულების სუვერენიტეტის საკითხი ბრიტანეთსა და არგენტინას შორის მუდმივი დაძაბულობის მიზეზია. ლონდონი მოლაპარაკებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაშია თანახმა, თუ ამის სურვილს კუნძულის მოსახლეობა გამოთქვამს.

კუნძულებისთვის დავა განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც მათ გარშემო ნავთობი აღმოაჩინეს. ფოლკლენდის კუნძულები ლონდონიდან 12 ათასი კმ-ის დაშორებითაა, არგენტინის სამხრეთიდან კი თვითმფრინავით იქ ჩასასვლელად 75 წუთია საჭირო.

კუნძულების გამო 1982 წელს ორ ქვეყანას შორის ხანმოკლე ომი იყო, რომლის დროსაც 650 არგენტინელი და 255 ბრიტანელი დაიღუპა.

ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები – არქიპელაგი ატლანტის ოკეანეში, არგენტინის სანაპიროდან 483 კმ-ში. არქიპელაგი მოიცავს კუნძულ აღმოსავლეთ ფოლკლენდს, დასავლეთ ფოლკლენდს და 776 პატარა კუნძულს. წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის ზღვისიქთა ტერიტორიას. დედაქალაქია სტენლი, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ ფილკლენდზე.

1833 წლიდან, არგენტინა პრეტენზიას აცხადებს ფოლკლენდის კუნძულებზე. 1982 წელს, არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს შორის გაიმართა ორთვიანი ომი ამ კუნძულებისათვის (ფოლკლენდის ომი), რომელიც არგენტინის მარცხით დამთავრდა.

მიუხედავად იმისა, რომ არგენტინის არმია თავს დაესხა ფოლკლენდის კუნძულებს და თავიდან მცირე სამხედრო წარმატებას მიაღწია, საბოლოოდ ომიდან გამარჯვებული დიდი ბრიტანეთი გამოვიდა. ეს გამარჯვება კუნძულების მოსახლეობის სურვილსაც შეესაბამებოდა. ომში დამარცხებამ არგენტინაში სამხედრო ხუნტის დამხობას და დემოკრატიული რეჟიმს აღდგენას მოუმზადა საფუძველი.

# ბოლივიის პრეზიდენტი თითქმის დარწმუნებულია, რომ უგო ჩავესი აშშ-მა მოწამლა

ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი „თითქმის დარწმუნებულია“, რომ სამხრეთ ამერიკაში მისი უმთავრესი მოკავშირე პოლიტიკური ლიდერი, ვენესუელის აწ გარდაცვლილი კომანდანტე უგო ჩავესი აშშ-მა მოწამლა.

სამხრეთ ამერიკული მედიის ცნობით, შესაბამისი განცხადება მორალესმა კარაკასში ყოფნისას გააკეთა.

როგორც ცნობილია, ჩავესი რამდენიმე დღის წინ კიბოს შედეგად დაიღუპა, რომელსაც იგი 2 წლის განმავლობაში ებრძოდა. ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტმა და ჩავესის მემკვიდრედ დასახელებულმა ნიკოლას მადურომ ასევე განაცხადა, რომ შესაძლოა, უგო ჩავესს კიბო მისმა მტრებმა ხელოვნურად დამართეს. მადუროს თქმით, ამ საკითხს სპეციალური კომისია გამოიძიებს.

ვენესუელის ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით კი, უგო ჩავესის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა ახალ პრეზიდენტს 14 აპრილს აირჩევს.

როგორც უკვე ცნობილია, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ნიკოლას მადურო აპირებს, რომელიც ამ დროისათვის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს. ოპოზიცია საკუთარ კანდიდატად, სავადაუდოდ, ენრიკე კაპრილესს წარმოადგენს.

შეგახსენებთ, რომ უგო ჩავესი 2012 წლის ოქტომბერში მეოთხე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად. ჩავესს ამომრჩეველთა 54%-მა დაუჭირა მხარი, მის მეტოქე კაპრილესს კი – 44%-მა.




# სამგლოვიარო განცხადებები



## ვიტალი (ბიჭიკო) კვინიხიძე

საქართველოს მეწარმეთა შორის გამორჩეული პიროვნება გახლდათ ვიტალი კვინიხიძე. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი ნოვატორული წინადადების განმახორციელებელი, ღირსეული, შეუვალი და პრინციპული თვისებებით აღჭურვილი პიროვნება. ყოველთვის მართალი სწორ პრინციპს არ უღალატებდა. პურის მრეწველობაში მთელი რიგი ცვლილებები დანერგა, რომლის კავშირის თავმჯდომარედაც (სწორედ ამ თვისებების გამო) ავირჩიეთ. ცოტა გვეგულება ისეთი მეწარმე, ვინც პარლამენტის წევრობაზე (მრეწველებიდან) უარს განაცხადებდა და მეწარმეთა ინტერესებს ხმალამოღებული დაიცავდა. სამაგალითო და მისაბაძი ღვთისაგან ჰქონდა მომადლებული საქმის ერთგულება და შეუპოვარი ხასიათი, მისთვის დახარჯვის ნიჭი. მთელ ამიერკავკასიაზე გაითქვა სახელი საფუარის ქარხანამ, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოში საწარმოთა პრივატიზაციის პიონერი და, რომელიც ერთ-ერთი პირველმა ბიჭიკო კვინიხიძემ განახორციელა. მის პრაქტიკულ გამოცდილებას ცნობილი ეკონომისტები იყენებდნენ და იზიარებდნენ. მეწარმეთათვის ის ერთგვარ იმედად და მართალი სიტყვის მნიშვნელობად იქცა.

სამაგალითო მეოჯახე და მოყვასი მეგობრებისა და კოლეგების დამფასებელი კაცური კაცი გახლდათ ვიტალი კვინიხიძე.

შენ იყავი კაცი, რომელმაც ისე იცხოვრა, როგორც ეკადრებოდა მის ქალაქს, მის ქვეყანას, საზოგადოებას, მეგობრებსა და ჩვენს მომავალ თაობას. ასეთ კაცზე იტყვიან – ღირსეული, მაღალზნეობრივი, ქვეყნის პატრიოტი.

*საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## სამშაბათი 12 მარტი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი/ 17.00 „საფარი“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა“ 21.00 ტ/სერ „დონ ძენო — კაცი ნორმა დელფიიდან“ 22.00 „აქცენტები“ 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: ბარსელონა — მილანი (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა“ 01.30 მხ/ფ „პატარა ბავშვები“ (ტიტ.) (კ.უინსლეტი)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 6 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე“ 4 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 7 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ 3 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 13.00 სერ. „24 – 5“ 14.40 დოკ/ფ „მოდის ფანატიკოსები“ 1 ნაწ. 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 მხ/ფ „ქალების ქვეყანაში“ (კ.სტიუარტი) 00.15 სერ. „ღვინის გზა“ 00.50 მხ/ფ „კონტროლი“ (უ. დეფო) (ტიტ.) 02.30 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 20.50 ეროვნული ლატარეა

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 სპექტაკლი „ვალი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.20 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საქართველოს ისტორია 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „ნერგები“ 13.40 კონცერტი-საგუნდო მუსიკის ფესტივალი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დოკ/ფ „ახალმოწამენი“ 16.30 აქტუალური თემა 16.50 მხ/ფ „მე მოვედი“ 18.10 მრავალჟამიერი 18.35, 23.50 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 დოკ/ფ „უბისა“ 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 23.20 დოკ/ფ „უაილ ვესთის მხედრები“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი

მაესტრო 07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.30, 01.20 თოქ—შოუ - „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 00.55 „ყოველდღიური აბები“ 22.20, 02.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6595

ევრო — 2,1615

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4879

100 რუსული რუბლი — 5,3945

## ამინდის პროგნოზი 12 მარტისთვის





# მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან იყიდება პირველი და მეორე ტომები

1 მარტიდან მესამე ტომი

5 მარტიდან მეოთხე ტომი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55


## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 12 მარტისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ამ დღეს ელოდით. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** — გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **კირჩხიბი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** — დიდი წარმატება გელით, გახარებული ხართ. **ქალწული** — ცოტა ფული დახარჯეთ, ცოტა შემოინახეთ. **სასწორი** — წინსვლა გელით, პერსპექტივა საინტერესოა. **ღრიანკალი** — არ აჩქარდეთ, საქმეს ბოლომდე ისედაც მიიყვანთ. **მშვილდოსანი** — ნურავის ენდობით, მხოლოდ ახლობლებს დაუჯერეთ. **თხის რქა** — ახალ ბიზნესს წამოიწყებთ, გაამართლებს კიდეც. **მერწყული** — რაღაც კითხვა გაქვთ, პასუხს თავად იპოვით. **თევზები** — დაისვენეთ და გაერთეთ, გადაღლილი ხართ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

შვეულად: 1. ყირგიზეთის დედაქალაქი; 2. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 3. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 4. იაპონელი მოდელიორი; 5. სამეფო საგვარეულო; 8. აჭარული ცეკვა; 12. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 13. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 14. უბანი თბილისში; 16. მარცვლეული კულტურა; 18. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 20. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება.

თარაზულად: 6. ძმრით, ფქვილით, ხახვითა და ათქვეფილი კვერცხით შეზავებული მოხარშული ქათმის წვნიანი კერძი; 7. სკანდინავიელი პოეტ-მომღერალი; 8. მეფის სიგელი; 9. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 10. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 11. კოსოვოს ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი; 15. მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად, ცილისწამება; 17. ინგლისური მსუბუქი ავტომობილი; 19. ორკუზიანი აქლემი; 21. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 22. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 23. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




# მინდორაშვილმა შვიდეული განაცხადა




როგორც უკვე ვწერდით, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რევაზ მინდორაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე დასაყენებელი შვიდეული დაასახელა.

— რამდენიმე წონით კატეგორიაში ლიდერები აშკარად გამოკვეთილები არიან და თავიდანვე ცხადი იყო, რომ არჩევანს მათზე გავაკეთებდით, მაგრამ მოსამზადებელი ციკლის დასკვნით შეკრებამდე არ ვუთხარით, კონცენტრაცია რომ არ დაეკარგათ. ზოგიერთ წონაში კი გაცილებით დაძაბული შიდა კონკურენცია და ამ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ბევრი ვიფიქრეთ. შეიძლება გარკვეულწილად ვრისკავთ კიდეც, მაგრამ ვფიქრობ, საუკეთესო ვარიანტზე შევჯერდით. ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებენ: გიორგი ედიშერაშვილი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, კონსტანტინე ხაბალაშვილი, დავით ხუციშვილი, დავით მარსაგიშვილი, ელიზბარ ოდიკაძე და გენო პეტრიაშვილი, — განაცხადა მინდორაშვილმა.

19-22 მარტს კი ევროპის ჩემპიონ-პრიზიორები შვიდივე წონით კატეგორიაში გამოვლინდებიან. 19 მარტს მედლები 66 და 96 კილოგრამებში გათამაშდება, 20 მარტს — 55 და 60 კილოგრამებში, 21-ში — 74 და 120, ხოლო 22-ში — 84 კილოგრამში.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# რასელ ქროუმ უცხოპლანეტელები გადაიღო



ჰოლივუდის მსახიობმა რასელ ქროუმ განაცხადა, რომ მან შეძლო სიდნეის ცაზე უცხოპლანეტელთა ხომალდი დაეფიქსირებინა. მისი თქმით, მან კამერა ბოტანიკურ ბაღში განათავსა რათა მეგობრებთან ერთად ღამურები გადაეღო. მაგრამ მათ ნაცლად კადრში უცნაური მანათობელი ობიექტი გამოჩნდა.

ქროუმ ვიდეორგოლი ფოტოებით და ავისმომასწავებელი მუსიკით „ტვიტერის“ მიკრობლოგზე განათავსა.

თუმცა საზოგადოება ნაკლებად ენდობა მსახიობს: ზოგი ამბობს, რომ ეს უბრალო ჩრდილებია ობიექტივში, ნაწილი მიიჩნევს, რომ უცხოპლანეტელები დაბრუნდნენ, რათა თან წაიყვანონ რასელ ქროუ.

რასელ აირა ქროუ (დ. 7 აპრილი, 1964) ახალ ზელანდიაში დაბადებული ავსტრალიელი მსახიობია. „ოსკარის“ სამგზის ნომინანტი. 2000 წლის „ოსკარის“ პრემიის ლაურეატი. სახელი გაუთქვა როლებმა ისეთ ფილმებში, როგორებიცაა „გლადიატორი“ და „ბრწყინვალე გონება“.

გ. მ.

# თამარ გვერდწითელს ვარსკვლავს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

15 მარტს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში თამარ გვერდწითელის სოლო კონცერტი გაიმართება. ღონისძიების ორგანიზატორის დავით ოქიტაშვილის თქმით, ეს იქნება გამორჩეული და სრულიად ახლებური საკონცერტო პროგრამით წარმოდგენილი კონცერტი, რომლის რეჟისურაც დავით დოიაშვილს ეკუთვნის.

— 15 მარტის კონცერტზე თამარ გვერდწითელი შეასრულებს ყველა ცნობილ სიმღერას, რომელიც იცის მსმენელმა. სცენაზე გვერდწითელთან ერთად იმღერებენ ანსამბლი „შვიდკაცა“, დიმიტრი დიუჟევი და დაუკრავს „სიმებიანი კვარტეტი“. კონცერტის დაწყებამდე ნაჩვენები იქნება 10-წუთიანი დოკუმენტური ფილმი თავად მომღერლის შესახებ. ფილმში წარმოდგენილია საინტერესო კოლაჟი მომღერლის სასცენო მოღვაწეობის შესახებ, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობია, — ამბობს დავით ოქიტაშვილი.

კონცერტის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, კონცერტზე მისული ყველა სტუმარი წითელ ხალიჩაზე გაივლის. კონცერტის შემდეგ კი ფილარმონიის წინ თამარ გვერდწითელის ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნება.

მოსკოვში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა თამარ გვერდწითელმა პოპულარობა პატარაობიდანვე მოიპოვა და ეს ანსამბლის „მზიური“ დამსახურებაა. მან სწავლა კონსერვატორიაშიც განაგრძო და ფორტეპიანოსა და საკომპოზიციო განათლებას დაეუფლა. მომღერალმა 19 წლის ასაკში გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსში „წითელი მიხაკი“ სოჭში, მან მონაწილეობა მიიღო პოპმუსიკის კონკურსში დრეზდენში, სოფიაში გამართულ კონკურსზე „ოქროს ორფევსი“ გამარჯვება მოიპოვა, მონაწილეობდა სან-რემოსა და სოპოტის ფესტივალებშიც. ახლა კი თავადაც ხშირად უწევს სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალებისა თუ კონკურსების ჟიურიში ყოფნა და ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა. მომღერალი საქართველოს, რუსეთის და ინგუშეთის სახალხო არტისტია. მას აქტიური თანამშრომლობა აკავშირებს მიშელ ლეგრანთან, რომელმაც საფრანგეთს ასე მიმართა: „პარიზო! დაიმახსოვრე ეს სახელი“ და მართლაც ქართველმა მომღერალმა შეძლო პარიზისა და მთელი მსოფლიოს დაპყრობა. ამ დროისთვის მომღერალი საოპერო ხელოვნებითაც





გაგრძელება მე-10 გვერდზე